



**შპს გურამ თვარკვაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტი
სამართლის ფაკულტეტი
კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამა**

თემა: დირექტორის მოვალეობები კომპანიის მართვის დროს

**ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად**

სტუდენტი:

ნინო ჩიმაკაძე

ნაშრომის ხელმძღვანელი:

ასოცირებული პროფესორი

დავით სუხიტაშვილი

თბილისი

2019

შინაარსი

ანოტაცია -----	1
Annotation -----	2
შესავალი -----	3
თავი I. ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა-----	8
თავი II ვინ შეიძლება იყოს დირექტორი კორპორაციაში-----	10
2.1. კომპანიის მართვის თანამედროვე სისტემები-----	13
2.2. ვდირექტორის ვალდებულება კომპანიის წინაშე-----	21
2.3. ზრუნვის მოვალეობა-----	25
2.4. ერთგულების მოვალეობა-----	30
2.5. ინტერესთა კონფლიქტი -----	33
2.6. საკუთარ თავთან დადებული გარიგება-----	38
2.7. კეთილსინდისიერების მოვალეობა-----	40
2.8. დირექტორთა ფიდუციარული ვალდებულებები-----	42
2.9. BUSINESS JUDGMENT RULE-----	45
თავი III. პრობლემის კვლევა/ანალიზი და შედეგები-----	49
დასკვნა -----	52
გამოყენებული ლიტერატურა -----	54

ანოტაცია

ნაშრომის მიზანია შედარებით სამართლებრივი კვლევის საფუძველზე პასუხი გასცეს მნიშვნელოვან კითხვებს დირექტორატის მოვალეობებთან დაკავშირებით, თუ რა ძირითადი ვალდებულებები ეკისრება დირექტორს სანარმოს მართვის პროცესში და ამ მხრივ, როგორი სხვადასხვა ქვეყნებში.

ნაშრომი წარმოადგენილია 54 კომპიუტერული ნაბეჭდი გვერდი, რომელიც მოიცავს შესავალს, 3 თავს, (რომელიც დაყოფილია ქვეთავებად) დასკვნასა და გამოყენებული ლიტერატურას.

პირველ თავში განხილულია ზოგადი დებულებები,თუ ვინ შეიძლება იქნეს მიჩნეული დირექტორად,ასევე კორპორაციის რა მართვის სახეები არსებობებს და რა როლს თამაშობს კონკრეტული „მართვის” მოდელში დირექტორი.

მეორე თავში განხილული იქნება დირექტორის ვალდებულებები კომპანიის მართვის დროს , ასევე განხილული იქნება BUSINESS JUDGMENT RULE ცნება, თუ რა როლს თამაშობს დირექტორების საქმიანობაში აღნიშნული ნორმა.

მესამე თავში განმარტებული იქნება შერჩეული კვლევის მეთოდები და განხილული იქნება კვლევის შედეგები, ანუ შერჩეული კვლევის მეთოდების საფუძველზე რა შედეგი მივიღე და მის საფუძველზე რა დადგინდა.

Annotation

The purpose of the work is to answer the questions relating to the Directorate's duties on the basis of comparative legal research on the basic obligations of the director in the management of the enterprise and in this regard in different countries.

This thesis is presented with 54 computer printed pages which include the introduction, 3 chapters (which is divided into subchapters) the conclusion, and also it contains information about used literature.

The first chapter deals with the general provisions of who can be regarded as the director, and what types of management are corporations and the role of the director in the specific "management" model.

The second chapter will discuss the director's obligations during the management of the company and will also review the BUSINESS JUDGMENT RULE concept of the role played by the directors.

The third chapter will explain the selected methods of research and will review the results of the survey, based on the selected methods of research, and what the results have been established.

შესავალი

კორპორაციული მართვის სისტემის განუყოფელ ნაწილს დირექტორი წარმოადგენს, სწორედ მასზე, როგორც საწარმოს ხელმძღვანელზე დამოკიდებულია კომპანიის სიძლიერე. თავად საწარმოს ხელმძღვანელობა გულისმობს კომპენტენტური მენეჯმენტის შექმნას, რომელიც შეიმუშავებს საწარმოს პოლიტიკას . დირექტორატი, კორპორაციული მართვის სისტემაში ასრულებს, საიმედო დაცვის ფუნქციას კომპანიასა და კომპანიის მესაკუთრეებს (აქციონერებს) შორის, ხოლო მეორე მხრივ, უზუნველყოფს საკონტრაქტო ურთიერთობის დაცვას მენეჯმენტსა და კომპანიას შორის.¹

საწარმოს მართვის ორგონოთა სტრუქტურა, შემადგენლობა და ფორმირების წესი დიდ გავლენას ახდენს მათ საქმიანობაზე, ამიტომ მართვის ორგანოებმა სადაც, პირველ რიგში რა თქმაუნდა დირექტორი მოაზრება უნდა უზრუნველყონ მაქსიმალური დემოკრატიზმი, პარტნიორთა ინტერესების დაცვა და მმართველობითი გადაწყვეტილების განუხრელი შესრულების რეალიზაცია² და იმისათვის, რომ კომპანიის დირექტორებს ეფექტურად განახორციელონ თავიანთი მოვალეობები, მათ უნდა ჰქონდეთ მკაფიო მითითებები მათი ფილუციული მოვალეობებისა და ვალდებულებების ფარგლებში. ეს განსაკუთრებით ეხება კონკურენციებსა და

¹ ლ. ცერცვაძე - „დირექტორატის მოვალეობები კომპანიის შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას“, ქ. თბილისი, გამომც. იურისტების სამყარო, 2016წ., გვ.59.

² იქვე.

ცვლილებებს კორპორაციულ კონტროლში, სადაც ინტერესთა კონფლიქტი სავარაუდოდ მოხდება.

კორპორაციო როგორც კერძო სამართლის სუბიექტი, ერთ-ერთ ძირითადი კონსტიტუციური - მატერიალური სარგებლობის მიღების მიზნით, პირთა გაერთიანების უფლების პრაქტიკულ რეალიზაციას წარმოადგენს, ამისათვის კორპორაცია ცდილობს აიმაღლოს სახელი, გაზარდოს ცნობადობა, მოიზიდოს კაპიტალი.

ნაშრომში დირექტორატის მოვალეობები კორპორაციის მართვის დროს განხილული იქნება სააქციო საზოგადოების და შემლუდული პასუხისგებლობის საზოგადოების მაგალითზე, ვინაიდან ამ ორ საზოგადოებაში ყველაზე მკაფიოსდ ვლინდება დირექტორატის მოვალეობა ფუნქციები.

დირექტორატის მოვალეობის განხვილისას კომპანიის მართვის პროცესში, შეუძლებელია გვერდი აუარო საერთო სამართლის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკას და გამოცდილებას, ვინაიდან დირექტორთა ძირითადი მოვალეობები, სწორედ მათგან იღებს სათავეს.

ნაშრომი შეეხება საქართველოსა და კერძოდ აშშ-ში, ინგლისში და გერმანში მოქმედი საკორპორაციო კანონმდებლობას .

ნაშრომის მიზანი გასცეს პასუხი მნიშვნელოვან კითხვებს დირექტორატის მოვალეობებთან დაკავშირებით, მიუთითოს იმ დადებით თუ უარყოფით მხარეებზე რაც შესაძლოა არსებობდეს ქართული საკანონმდებლო რეგულირების თვალსაზრისით და მოახდინოს მათი შედარება სხვადასხვა ქვეყნების მეტნაკლებად შესატყვის ნორმებთან. თუ რა ძირითადი ვალდებულებები ეკისრება მათ საწარმოს მართვის პროცესში და ამ მხრივ როგორი პრაქტიკაა ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყნებში. სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს კორპორაციული დირექტორის ცნებას, მის როლს კორპორაციის მართვის პროცესში მნიშვნელობას, მიზანს, საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებს, ზემოაღნიშნული საკითხები განხილული იქნება საერთაშორისო ჭრილში, რაც მოიცავს პარალელურად სხვადასხვა სამართლის სისტემის ქვეყნების კანონმდებლობასა და პრაქტიკასთან.

ნაშრომში ძირითადად ორი სახის მეთოდოლოგია იქნება გამოყენებული ესენია, ლოგიკურ-თეორიული ანალიზის და შედარებითი მეთოდები.

ლოგიკურ-თეორიული ანალიზის მეთოდის გამოყენებით განხილული იქნება დირექტორის ვალდებულება(მოვალეობა)კორპორაციის მართვის დროს.განხილული იქნება ზოგადი საკითხები,როგორცაა ცნება,მიზანი და მნიშვნელობა, საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები, მათი გავლენა დირექტორის/დირექტორების საქმიანობის შესრულებაზე;

შედარებითი მეთოდის მეშვეობით განხილული იქნება სხვადასხვა სამართლის სისტემის ქვეყნებში არსებული საკანონმდებლო რეგულაციები და პრაქტიკა. მოგეხსენებათ სასამართლო პრაქტიკა დიდ ზეგავლენას ახდენს კანონმდებელზე, რადგან სწორედ მოსამართლე აწყდება იმ პრობლემას, რომელიც შესაძლოა კანონმდებლის მიერ ნორმის მიღებისას არ იყოს გათვალისწინებული იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ შეუძლებელია ყველა შესაძლო შემთხვევის წინასწარ განჭვრეტა და მათი დარეგულირება შესაბამისი ნორმების მეშვეობით, ვინაიდან კანონი დროსა და სივრცეში მოქმედებს.

სწორედ მოსამართლეზეა დამოკიდებული როგორ განმარტავს მას და როგორ მიასადაგებს კონკრეტული შემთხვევის მიმართ.

თავი I . ლიტერატურულ მოკლე მიმოხილვა

შესავალ ნაწილში, როგორც აღნიშნე ნაშრომში ძირითადად ორი სახის მეთოდოლოგია იქნება გამოყენებული ესენია, ლოგიკურ-თეორიული ანალიზის და შედარებითი მეთოდები. აღნიშნულის მიზნის მისაღწევად გამოვიყენე ლ.ცერცვაძეს წიგნი- „დირექტორატის მოვალეობები კომპანიების შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას”(შედარებით სამართლებრივი ანალიზი), ასევე ლ. ჭანტურიას წიგნი „კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისგებლობა საკორპორაციო სამართალში” და გ. ჯულელი- „კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში”.

„დირექტორატის მოვალეობები კომპანიების შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას”(შედარებით სამართლებრივი ანალიზი) - აღნიშნული წიგნი არის ჩემი ნაშრომის ძირითადი წყარო, ვინაიდან ავტორს განხილული აქვს დირექტორის

ვალდებულება და მოჰყავს შედარებით სამართლებრივი ანალიზი სამი წამყვანი სამართლებრივი ქვეყნებიდან ესენია: ამერიკა, ბრიტანეთი და გერმანია. ასევე წიგნი შეიცავს კონკრეტული ქვეყნის სასამართლო პრაქტიკას, აღწერილია თუ სხვადასვა ქვეყნებში დირექტორის „ვალდებულებებთან“ დაკავშირებით თავის დროზე სასამართლომ, როგორ განმარტა სადაო ნორმა, პრინციპი თუ ცნება. აღნიშული საინტერეოა იმითაც, რომ ზოგადად როცა საუბრობთ დირექტორის „ვალდებულებების“ შესახებ საქართველოს კანონი „მენარმეთა შესახებ“ ძალიან ბევრ კითხვის ნიშნებს ტოვებს, ვინაიდან დირექტორის ვალდებულების ცნობილი ტრიადა, რომელშიც შედის ერთგულების, ზრუნვისა და კეთილსინდისიერების ვალდებულებები, ბუნდოვნად არის ასახული კანონში, რთულია იმსჯელო თუ რას გულისმობს კანონმდებელი, როცა ნორმა ამომწურავად არ არის განმარტებული და მითუმეტეს, როცა სასამართლო პრაქტიკა საქართველოში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პრაქტიკულად არ არსებობს, ამიტომაც მნიშვნელოვანია სხვა ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების განმარტება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. პრობლემას ისიც წარმოადგენს, რომ მითითებული დირექტორის ვალდებულებები თავის თავში სხვა ვალდებულებებსაც აერთიანებს, რომელიც ნაშრომის მეორე თავში არის განხილული.

მეორე და მესამე წიგნი დამჭირდა დირექტორის როლი კორპორაციული მართვის თანამედროვე სისტემების განსაზღვრისთვის და ასევე, დირექტორის ვალდებულების ცნობილი ტრიადის განსამარტად. გ. ჯულელის წიგნი გამოვიყენე აგრეთვე Business judgement rule-ის განსამარტად.

იმისათვის, რომ შედარებით სამართლებრივი ანალიზი გამეკეთებინა და გამეგლო პარალელი სხვა ქვეყნის სამართალთან გამოვიყენე ნორმატიული აქტები, კერძოდ საქართველოს კანონი მენარმეთა შესახებ და საქართველოს კანონი ფასიანი ბაზრის შესახებ, უკანასკნელი კი პირველთან შედარებით უფრო უკეთესად განმარტავს დირექტორის ვალდებულებებს, რომელიც დაწვრილებით განმარტებულია ნაშრომის მეორე თავში.

ასევე გამოვიყენე ორი ვებ. გვერდი, რომელიც ნაშრომის 54 გვერდზე გამოყენებულ ლიტერატურის სიაში მაქვს მითითებული, აღნიშნული ვებ. გვერდების გამოყენება

დამჭირდა ორი თემის გამო, პირველი ეს არის კომპანიის მართვის თანამედროვე სისტემის განსაზღვრისთვის და მეორე დირექტორის ვალდებულებებისთვის.

აღნიშნულმა ლიტერატურამ დამეხმარა იმ მიზნის მისაღწევად, რაც შესავალ ნაწილში აღვწერე.

თავი II. ვინ შეიძლება იყოს მიჩნეული დირექტორად

კომპანიის მართვის პროცესში დირექტორთა ვალდებულებების განხილვამდე, საჭიროა თავდაპირველად განისაზღვროს ვინ არიან მიჩნეულნი დირექტორებად, ასევე კორპორაციის რა მართვის სახეები არსებობებს და რა როლს თამაშობს კონკრეტული „მართვის“ მოდელში დირექტორი, უკანასკნელი განხილული იქნება ნაშრომის 1.2 ნაწილში.

ბრიტანეთის საკორპორაციო კანონმდებლობა სამი სახის დირექტორს იცნობს: დე იურე, დე ფაქტო და ჩრდილში მდგომს.³

³ ლ. ცერცვაძე - „დირექტორატის მოვალეობები კომპანიის შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას“, თბ., გამომც. იურისტების სამყარო, 2016წ., გვ.24.

დე იურე დირექტორი არის პირი, რომელიც მოქმედი კანონმდებლობისა და კომპანიის წესდების შესაბამისად დანიშნულია დირექტორის პოზიციაზე⁴.

ქართული კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა აღიარებს, მხოლოდ დე იურე დირექტორს, მენარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-9-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად სს-ში და შპს-ში ხელმძღვანელობის უფლება აქვთ დირექტორებს. ხელმძღვანელობა გულისხმობს კომპანიის სახელით გადაწყვეტილებების მიღებას, ხოლო წარმომადგენლობა კომპანიის სახელით გამოსვლას მესამე პირებთან ურთიერთობაში. ასევე ხელმძღვანელობა გულისხმობს წარმომადგენლობასაც თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.⁵ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ” საქართველოს კანონის მუხლი 2.22-ის თანახმად: „მმართველი ორგანოს წარმომადგენს დადგენილი წესით არჩეული ან დანიშნული დირექტორები ან/და სამეთვალყურეო საბჭო”.

აგრეთვე, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ: “დირექტორი არის „მენარმეთა შესახებ“ კანონით გათვალისწინებულ საწარმოთა აღმასრულებელი ორგანო, რომელიც ხელმძღვანელობს საწარმოს მიმდინარე საქმიანობას და უფლებამოსილია მესამე პირების წინაშე მინდობილობის გარეშე წარმომადგენლოს საწარმო, აღნიშნული გულისხმობს რომ დირექტორს გააჩნია უფლებამოსილება საწარმოს სახელით დადოს ხელშეკრულება.⁶

როგორც ზემოთ აღვნიშნე პირი დირექტორად მიიჩნევა და წარმოეშობა კანონმდებლობით დადგენილი ფიდეუსიური ვალდებულებები მაშინაც, როცა მას არ აქვს მინიჭებული დირექტორის სტატუსი, თუკი იგი იგივე ფუნქციებს ასრულებს რაც დირექტორს ევალება, ასეთ დირექტორები დე ფაქტო დირექტორების სახელით არიან ცნობილი.

დიდი ბრიტანეთის სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ პირი, რომელიც ფაქტურად დირექტორის ფუნქციებს ასრულებს, სამართლის მიერ მიჩნეულ იქნება

⁴ იქვე ,გვ.24.

⁵ საქართველოს კანონი „ მენარმეთა შესახებ” , თბ., 1994, მე-9-ე მუხლის მე-2-ე ნაწილი.

⁶ლ. ცერცვაძე - „დირექტორატის მოვალეობები კომპანიის შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას”, ქ. თბილისი, გამომც. იურისტების სამყარო, 2016წ., გვ.27.

როგორც კანონმდებლობის შესაბამისად დანიშნული დირექტორი და მას წარმოეშობა ფიდეუციური ვალდებულებანი კომპანიის მიმართ. აღსანიშნავია ის, გარემოებაც, რომ დე ფაქტო დირექტორი მოქმედებს როგორც დირექტორი და იგი აღიქმება მეამე პირებისა და თავად კომპანიის მიერაც, როგორც დირექტორი მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობის თანახმად ამ პოზიციაზე არასოდეს ყოფილა არჩეული.⁷

ჩრდილში მდგომი დირექტორი არის პირი, რომლის მითითებისა და რეკომენდაციების მიხედვითაც, როგორც წესი, დირექტორები რეალურად მართავენ კომპანიას და არც აღქმულნი არაინ, როგორც დირექტორები.⁸

დე ფაქტო მმართველობის ორგანოს არსებობას იცნობს გერმანიის იურიდიული ლიტერატურა და სასამართლო პრაქტიკაც, რომლის თანახმადაც, პირს რომელიც ფაქტიურად მოქმედებს, როგორც მმართველობის ერთ-ერთი ორგანოს წევრი, თუმცა ამ პოზიციაზე დანიშნული არასოდეს ყოფილა, გააჩნია იგივე ვალდებულება რაც კანონმდებლობის შესაბამისად ამ პოზიციაზე დანიშნულ პირს. დე ფაქტო დირექტორის ინსტიტუტს იცნობს ასევე აშშ-ის სამართალიც, სადაც ასეთად მიჩნეულია პირი, რომელიც არ არის არჩეული პოზიციაზე დადგენილი წესების შესაბამისად, ან მოხსენიებული არ არის როგორც დირექტორი და რომელზეც ჩვეულებრივ, მოქმედებს დირექტორის მიმართ არსებული მოთხოვნები ფიდეუციურ ვალდებულებათა შესახებ.⁹

საინტერესოა ის გარემოება, რომ კომპანიას ასევე შეიძლება ჰყავდეს ალტერნატიული დირექტორი, რომლის სპეციფიკა გამომდინარეობს იქიდან, რომ ის დროებით ასრულებს დირექტორის ფუნქციას სამსახურში არ მყოფი დირექტორის ნაცვლად, რომელსაც დელეგირებული აქვს ფუნქციები თავად ამ უკანასკნელის მიერ. აღნიშნული დირექტორის დანიშვნა გათვალისწინებული უნდა იქნეს წესდებაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ მოხდება მისი დანიშვნა. თავად ალტერნატიულ დირექტორს გააჩნია ყველა ის უფლებამოსლება და ვალდებულება, რაც მის დასახელებულ პოზიციაზე წარმდგენს. ასევე, იგი პირადად არის პასუხისმგებელი მის

⁷ იქვე, გვ.25.

⁸ იქვე, გვ.25.

⁹ ლ. ცერცვაძე - „დირექტორატის მოვალეობები კომპანიის შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას“, თბ., გამომც. „იურისტების სამყარო“, 2016წ., გვ.26-27.

მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისათვის. თუმცა ალტერნატიული დირექტორი არ არის უფლებამოსილი იმოქმედოს მისი წარმდგენი დირექტორის პარალელურად, მას უფლებამოსილება აქვს მხოლოდ წარმდგენი დირექტორის არყოფნისას და შესაბამისად წარმდგენი დირექტორის სამსახურში დაბრუნების ან მისი გარდაცვალების შემთხვევაში, ალტერნატიული დირექტორის უფლებამოსილება აღნიშნული გარემოებიდან ერთ-ერთის დადგომის დღიდანვე წყდება.¹⁰

ამრიგად, არასწორია ის რომ საქართველოს კანონმდებლობა, მხოლოდ „დე იური“ დირექტორებს იცნობს, ვინაიდან პრაქტიკაში ისეთი პირიც გვხვდება, რომელიც არასოდეს იყო არჩეული დირექტორის პოზიციაზე და შესაძლოა ამ ფაქტის გამო თავი არიდოს პასუხისგებლობისგან. მაგალითად კორეის საკორპორაციო სამართალში იმდენად დიდია დირექტორის ვალდებულება და პასუხისგებლობა კომპანიის მართვის დროს, რომ დამყარდა პრაქტიკა „მოჩვენებითი დირექტორის“ აყვანისა, რომელსაც მხოლოდ დირექტორის სახელი აქვს, სინამდვილეში კი დირექტორის უფლებავალდებულებას სულ სხვა პირი ასრულებს „არა დირექტორი“ და იმის გამო რომ არ არის მითითებული, თუ ვინ შეიძლება იქნეს მიჩნეული დირექტორად აღნიშნული „არა დირექტორების“ პასუხისგებლობა არ დგება.

2.1. კომპანიის მართვის თანამედროვე სისტემები

თანამედროვე კორპორაციული მართვა იცნოს სამი სახის სისტემას ესენია: ერთსაფეხურიანი, ორსაფეხურიანი და შერეული სისტემა. აღნიშნული სისტემები დამახასიათებელია, როგორც რომანულ-გერმანულ, ისე ანგლო-ამერიკულ სამართლებრივ ოჯახებისთვის.

ერთსაფეხურიანი სისტემა, მეორენაირად მონისტუი სისტემა განვითარდა და ჩამოყალიბდა ამერიკაში. აღნიშნულ სისტემას მართვის ორი ორგანო გააჩნია ესენია

¹⁰ იქვე, გვ. 26-27.

აქციონერთა საერთო კრება და მისი მიერ დაქვემდებარებული დირექტორების საბჭო-
ბორდი. საერთო კრება მართვის ძირითადი ორგანოა.¹¹

ბორდი ერთადერთი სავალდებულო ორგანოა, რომელიც ამერიკული
სამართლის მიხედვით კორპორაციას უნდა ჰქონდეს. ბორდის წევრების არჩევის ორი
სისტემა არსებობს ესენია: „კუმულატიური ხმის უფლება“ და „ხმის უფლების გადაცემა“.¹²

პირველი სისტემის მიხედვით აქციონერს შეუძლია თავისი ხმები რამდენიმე
კანდიდატზე გადაანაწილოს და არა მხოლოდ ერთ მისცეს ყველა ხმა, ამ სისტემის
მიზანია, რომ უმცირესობაში მყოფი აქციონერს, სულ ცოტა, ერთი წარმომადგენელი
მანც ჰყავდეთ ბორდში, თუმცა აღნიშნული სისტემა იშვიათად გამოიყენება.¹³

მეორე სისტემის მიხედვით აქციონერები თავიანთ ხმის უფლებას გადასცემენ
ბორდის წევრებს, რომლებიც თვითონ იღებენ გადაწყვეტილებას, თუ ვინ აირჩიონ
ბორდში.¹⁴

ბორდი არის დამოუკიდებელი ორგანო და ის არ ემორჩილება აქციონერთა
კრებას, მას ეკისრება საზოგადოების ხელმძღვანელობის მოვალეობა და
გადაწყვეტილების მიღებისას ბორდი დამოუკიდებელია. იგი გადაწყვეტილებას იღებს
ბორდის კრებაზე კენჭისრის შედეგად. ბორდის გადაწყვეტილების ნამდვილობისათვის
აუცილებელი წინაპირობაა ის, რომ იგი მიღებული უნდა იყოს ბორდის სხდომის
მონწევვისა და ჩატარების პროცედურების ზუსტი დაცვით.¹⁵

დირექტორის საბჭო ორ ჯგუფათ იყოფა , პირველ ჯგუფში შედის საბჭოს ის წევრები,
რომელიც კომპანიას წარმოადგენენ მის ყოველდღიურ საქმიანობაში , ასეთ
დირექტორებს უწოდებენ „ინსაიდერ“ აღმასრულებელ დირექტორებს (ე.წ შიდა
დირექტორები) , ხოლო დირექტორების საბჭოს მეორე ჯგუფში შედიან „ არაინსაიდერი
არააღმასრულებელი დირექტორები, რომლებსაც წარმომადგენლობითი ფუნქციის
მქონე დირექტორთა საქმიანობის კონტროლი ევალებათ. აღნიშნული

¹¹ ლ. ჭანტურია კორპორაციული მართვა და ხელმძღვანეთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო
სამართალში, თბ., გამომ. „სამართალი“ 2006, გვ. 110.

¹² იქვე, გვ.110.

¹³ იქვე, გვ.110.

¹⁴ იქვე, გვ.110.

¹⁵ ლ. ჭანტურია, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანეთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო
სამართალში, თბ., გამომ. „სამართალი“ 2006, გვ. 119.

დირექტორებს არავითარი ფინანსური და სხვა სამართლებრივი კავშირი არ გააჩნიათ კომპანიასთან ან/და რომელიმე მის შვილობილ კომპანიასთან. ამრიგად „არაინსაიდერი“ დირექტორები არიან ისეთი დირექტორები, რომლებიც არ იმყოფებიან მატერიალურ დამოკიდებულებაში რეგისტრირებულ კომპანიასთან.¹⁶

აგრეთვე „არაინსაიდერი“ დირექტორს ან მის ოჯახის წევრებს არ უნდა ჰქონდეთ კორპორაციიდან წლიურად 100 000 აშშ დოლარზე მეტი პირდაპირი შემოსავალი.¹⁷

სწორედ მათთან და აქციონერთა საერთო კრებასთან არიან ანგარიშვალდებულნი წარმომადგენლობით ფუნქციით აღჭურვილი დირექტორი. „ინსაიდერ“ დირექტორის განთავისუფლების უფლებამოსილება გააჩნია, როგორც აქციონერთა კრებას ისე არაინსაიდერ დირექტორსაც.¹⁸

აქციონერთა საერთო კრება არაინსაიდერ დირექტორს აღიზნულ უფლებას აძლევს იმის გამო, რომ მაქსიმალურად მოხდეს „ინსაიდერ“ დირექტორის საქმიანობის შესაძლო არაკეთილსინდისიერების აღმოფხვრა, რათა შემდგომში არ დაზარალდეს აქციონერები და კომპანიის ინტერესები.¹⁹

შიდა დირექტორები, როგორც წესი, წარმომადგენენ კორპორაციის მენეჯერებს ან სხვა წამყვან თანამშრომლებს, რომლებსაც დადებული აქვთ შრომის ხელშეკრულება და არიან მთლიანად კორპორაციაში დასაქმებულნი და ვალდებულები არიან მთელი დრო მიუძღვნან კორპორაციას „არაინსაიდერი“ დირექტორებისგან განსხვავებით მათვის ბორდის წევრობა არ წარმომადგენს ძირითად საქმიანობას.²⁰

აღმასრულებელი დირექტორის გადაწყვეტილებაზე შეიძლება პასუხისმგებლობა დაეკისროს არააღმასრულებელ დირექტორსაც იმ შემთხვევაში, როცა ინსაიდერი დირექტორი იღებს ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლის

¹⁶ იქვე, გვ. 119.

¹⁷ იქვე, გვ. 115.

¹⁸ ლ. კოკია კორპორაციული მართვის თანამედროვე სისტემები. თბ. ჯურნ.სახ. Business media georgia , 27.12.17წ. <https://www.bm.ge/>, წვდ. თარიღი: 16.06.2019წ.

¹⁹ იქვე.

²⁰ ლ. ჭანტურია, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბ. „გამომ. „სამართალი“ 2006, გვ. 116-117.

შედგება ზიანი ადგება კომპანიას და აღნიშნულის შესახებ ინფორმირებული არის არაინსაიდერი დირექტორი და ღუმს ამის შესახებ.²¹

ბორდი დიდ კორპორაციებში, როგორც წესი ქმნის კომიტეტებს, რომლებიც ერთი დირექტორი მაინც უნდა იყოს, ვინაიდან ბორდს შეუძლია თავისი ფუნქციების დიდი ნაწილი შესასრულებლად ამ კომიტეტს გადასცეს. კომიტეტები სავალდებულო ორგანო არ არის და როგორც წესი კომპანიის სურვილით იქმნება, მაგრამ ზოგი კორპორაციისთვის ამა თუ იმ კომიტეტის შექმნა მოვალეობასაც კი წარმოადგენს, ასეთი მოვალეობა აკისრიათ, მაგალითად, ნიუ-იორკის ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე რეგისტრირებულ და ნაზდაკის წევრ კორპორაციებს.²²

ასევე, ბორდი როგორც წესი ნიშნავს მენეჯერებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ბორდის მიერ მიღებულ გადაწყვეტილების განხორციელებას. მენეჯერები ხელმძღვანელობენ კორპორაციის ყოველდღიურ საქმიანობას, აგრეთვე წარმოადგენენ მას მესამე პირებთან ურთიერთობაში და მათ აკისრიათ ისეთივე მოვალეობა, რაც ბორდის წევრებს. მენეჯერები შეიძლება ერთდროულად იყვნენ ბორდის წევრები, აღნიშნული დაუშვებელია სამეთვალყურეო საბჭოს მქონე საზოგადოებაში.²³

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბორდისგან განსხვავებით, მენეჯერების საქმიანობა არ ატარებს კოლექტიურ ხასიათს, ვინაიდან მენეჯერებს შორის არსებობს იერარქიული სტრუქტურა, რომლის სათავეში მდგომს ეწოდება უფროსი აღმასრულებელი მენეჯერი ან პრეზიდენტი.²⁴

ამრიგად აშშ-ის კორპორაციული მართვის მოდელში, დირექტორი ცენტრალურ როლს ასრულებს. დირექტორატს მიცემული აქვს ფართო უფლებამოსილება მიიღოს გადაწყვეტილებანი კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებულ თითქმის ყველა მნიშვნელოვან საკითხზე. ბორდი წარმოადგენს კორპორაციული მართვის ისეთ

²¹ ლ. კოკია კორპორაციული მართვის თანამედროვე სისტემები. თბ. ჯურნ.სახ. Business media georgia , 27.12.17წ. <https://www.bm.ge/>, წვდ. თარიღი: 16.06.2019წ.

²² ლ. ჭანტურია, იქვე, გვ.116.

²³ იქვე.119.

²⁴ ლ. ჭანტურია, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანეთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბ. „გამომ. „სამართალი“ 2006, გვ. 119.

ორგანოს, რომელსაც კომპანიის კაპიტალის მფლობელები აღიარებენ, როგორც უმთავრეს დაცვის საშუალებას საზოგადოების ქონების მითვისებისა და აშკარად არასწორი მართვის წინააღმდეგ. კომპანიის ბიზნეს საქმიანობას უძღვება დირექტორატი თუკი კომპანიის წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. თუკი კომპანიის წესდება არ ითვალისწინებს ბორდის არსებობას მაშინ იმ ორგანოს თუ პირს, რომელიც ასრულებს ბორდის ფუნქციას აქვს იგივე უფლებები და მოვალეობები რაც ბორდს.²⁵

ასევე, ბორდის საქმიანობის სწორად წარმართვას უზუნველყოფს ბორდის თავმჯდომარე, ხოლო კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას უძღვება აღმასრულებელი დირექტორი.²⁶

ბორდის თავმჯდომარეს გააჩნია უფრო მეტი ვალდებულება, მას უნდა ჰქონდეს მაღალი კვალიფიკაცია, რისი საშუალებითაც შეძლებს დაკისრებულ უფლება-მოვალეობათა განხორციელებას. იგი უძღვება დირექტორატის სხდომას, ვალდებულია უზრუნველყოს ამ ორგანოს ეფექტურობა. ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი დღის წესრიგის განრიგის დადგენა და დარწმუნდეს იმაში, რომ განსახილველად საჭირო შესაბამისი დრო აქვს დათმობილი დღის წესრიგით გათვალისწინებულ თითოეულ საკითხს. უზრუნველყოს რომ დირექტორებმა მიიღონ ზუსტი, დროული და ნათელი ინფორმაცია, და ხელი შეუწყოს გულახდილი დებატების არსებობას, რათა ამ გზით მოხერხდეს თითოეული დირექტორის მხრიდან ეფექტური როლის შეტანა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ბორდის თავმჯდომარემ უნდა შეძლოს კონსტრუქციული გარემოს შექმნა და ამგვარი დამოკიდებულების შენარჩუნება აღმასრულებელ და არა-აღმასრულებელ (დამოუკიდებელ) დირექტორებს შორის.²⁷

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ნებისმიერი დირექტორი ან მთლიანად დირექტორატი შესაძლოა გათავისუფლებულ იქნეს დაკავებული პოზიციიდან რაიმე მიზეზით, ან მიზეზის გარეშე ხმის უფლების მქონე, უმრავლესობაში მყოფი აქციონერების მიერ. შესაძლებელია, დირექტორთა ყოველგვარი საფუძვლის გარეშე დათხოვნის

²⁵ ლ. ცერცვაძე - „დირექტორატის მოვალეობები კომპანიის შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას“, თბ., გამომც. „იურისტების სამყარო“, 2016წ., გვ.59.

²⁶ იქვე, გვ.61.

²⁷ ლ. ცერცვაძე - „დირექტორატის მოვალეობები კომპანიის შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას“, თბ., გამომც. „იურისტების სამყარო“, 2016წ., გვ.61.

უფლება ემსახურებოდეს დირექტორატის პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდას.²⁸

თუმცა ღირვექტორის გათავისუფლება რაიმე მიზეზის გარეშე შეუძლებელია, თუ კომპანიის წესდება სხვაგვარად არეგულირებს ამ საკითხს. კერძოდ, თუკი წესდება ითვალისწინებს კლასიფიცირებული ბორდის არსებობას, ან თუკი კომპანიას აქვს კუმულატიური ხმის მიცემის სისტემა, მაშინ აქციონერები უფლებამოსილნი არიან დაითხოვონ ასეთი ბორდი მხოლოდ რაიმე საფუძვლით.²⁹

საინტერესოა ინგლისში მოქმედი კომპანიათა შესახებ აქტის მეათე თავი, რომელიც ეხება დირექტორთა დანიშვნისა და კომპანიის მიმართ მათი ვალდებულებების საკითხებს.³⁰

აქტის თანხმად, დიდ ბრიტანეთში ნებისმიერი კომპანია ვალდებულია ჰყავდეს დირექტორი. აუცილებელია, რომ დირექტორატში ერთი ფიზიკური პირი მაინც იყოს, ხოლო მინიმალური ასაკი დირექტორად დასანიშნი პირისათვის არის 16 წელი. აქტი ასევე განსაზღვრავს, რომ დირექტორთა არჩევასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება აქციონერთა კრებამ უნდა მიიღოს ინდივიდუალურად თითოეულ მათგანთან მიმართებაში. ასევე ინგლისის კანონმდებლობა უშვებს შესაძლებლობას კომპანიის წესდებით განისაზღვროს დირექტორთა უფლება-მოვალეობი, თუმცა ამ დოკუმენტით კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები არ უნდა შეიცვალოს ან შეიზღუდოს. ამრიგად ინგლისის კანონმდებლობის მიხედვით ნებისმიერი დებულება, რომელიც გამორიცხავს დირექტორის პასუხისმგებლობას მისი მხრიდან კომპანიის მიმართ ჩადენილი დაუდევრობის, ვალდებულების არ შესრულების, კეთილსინდისიერებისა და ნდობის დარღვევის გამო, ბათილია.³¹

რაც შეეხება დუალისტური სისტემას, რომელიც გერმანული სამართლის პირმშოა ერთმანეთისგან მკაფიოდ მიჯნავს კომპანიის მართვის და კონტროლის ფუნქციებს სრულიად დამოუკიდებელი მართვის ორგანოების მეშვეობით -

²⁸ იქვე, გვ. 63-64.

²⁹ იქვე, გვ. 64.

³⁰ იქვე, გვ. 65.

³¹ ლ. ცერცვაძე - „დირექტორატის მოვალეობები კომპანიის შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას“, თბ., გამომც. „იურისტების სამყარო“, 2016წ., გვ. 65

საერთო კრება, რომელიც აკომპლექტებს სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორთა საბჭო.³²

თავის მხრივ, დირექტორთა საბჭო გარკვეული ვადით ინიშნება სამეთვალყურეო საბჭოს ეგიდით, რომელიც ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს და აქციონერთა საერთო კრების წინაშე. დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია ყოველდღიური საოპერაციო საქმიანობის შესრულებაზე და ის წარადგენს კომპანიას გარე ურთიერთობებში.³³

ორსაფეხურიან სისტემაში აღმასრულებელი ფუნქცია განაწილებულია დირექტორებსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს შორის. სამეთვალყურეო საბჭო ახორციელებს ბორდის კონტროლის ფუნქციას აღნიშნული მოდელი უპირატესობას საზოგადოების ინტერესს ანიჭებს და მიიჩნევს, რომ საზოგადოება სამართლის მხრიდან დაცვის ღირსი ცალკე სუბიექტია და იგი არსებითად განსხვავდება მისი მესაკუთრეებისაგან.³⁴ ამ ორგანოებს შორის არ არსებობს იერარქიული ურთიერთდაქვემდებარება, ისინი წარმოადგენენ თანასწორუფლებიან ორგანოებს და თავიანთი კომპენტენციის ფარგლებში ახორციელებენ მათთვის კანონით დაკისრებულ მოვალეობებს.³⁵

გერმანულ კორპორაციულ მართვაში, ამერიკული სისტემისაგან განსხვავებით, მკაცრად რეგლამენტირებული კანონის ნორმები მოქმედებს, ვინაიდან გერმანიაში კანონის თანახმად სავალდებულოა ყველა კომპანიას ჰყავდეს აღმასრულებელი ორგანო დირექტორთა საბჭო და სამეთვალყურეო საბჭო.³⁶

³² ლ.კოკაია კორპორაციული მართვის თანამედროვე სისტემები. თბ. ჟურნ.სახ. Business media georgia , 27.12.17წ. <https://www.bm.ge/>, წვდ. თარიღი: 16.06.2019წ.

³³ იქვე, გვ.65.

³⁴ ლ. ჭანტურია კორპორაციული მართვა და ხელმძღვანეთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბ, 2006, გვ. 119.

³⁵ ლ.კოკაია კორპორაციული მართვის თანამედროვე სისტემები. თბ. ჟურნ.სახ. Business media georgia , 27.12.17წ. <https://www.bm.ge/>, წვდ. თარიღი: 16.06.2019წ.

³⁶ ლ.კოკაია კორპორაციული მართვის თანამედროვე სისტემები. თბ. ჟურნ.სახ. Business media georgia , 27.12.17წ. <https://www.bm.ge/>, წვდ. თარიღი: 16.06.2019წ.

ასევე, არსებობს კორპორაციული მართვის ჰიბრიდული იგივე შერეული მოდელი, რომელიც განსაზღვრავს კომპანიის მართვასა და წარმომადგენლობაზე პასუხისმგებელ დირექტორთა საბჭოს ფუნქციებს.³⁷

აღნიშნული მოდელის მიხედვით შეიძლება შეიქმნას კორპორაციული მართვის ისეთი სისტემა, სადაც წარმომადგენელი იქნება ერთსაფეხურიანი და ორსაფეხურიანი სისტემისთვის დამახასიათებელი საერთო ნიშნები, მაგალითად კომპანიებს შესაძლებლობა აქვთ ჩამოაყალიბონ ერთსაფეხურიანი სისტემისთვის დამახასიათებელი აღმასრულებელი და არააღმასრულებელი ფუნქციებით აღჭურვილი დირექტორთა საბჭო, ამის პარალელურად დააკომპლექტონ სამეთვალყურეო საბჭო და კომპანიას დამფუძნებელი დოკუმენტით განუსაზღვრონ იმის შესაძლებლობა, რომ დირექტორთა საბჭოს ნებისმიერი წევრი ამავდროულად სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც იყოს.³⁸

საქართველოში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით კორპორაციული მართვის ჰიბრიდული მოდელი მოქმედებს, ვინაიდან „მენარმეთა შესახებ“ კანონში გვხვდება ისეთი ნორმები, რომლებიც განასახიერებს, როგორც მონისტურ ისე დუალისტურ სისტემას³⁹, კერძოდ საქართველოს კანონი „მენარმეთა შესახებ“ 55 მუხლის თანახმად:

- ა) განსაკუთრებული შემთხვევების გარდა სააქციო საზოგადოება არ არის ვალდებული შექმნას სამეთვალყურეო საბჭო;
- ბ) სამეთვალყურეო საბჭოს არარსებობის შემთხვევაში, კანონით დადგენილი მისი ფუნქციები კომპანიის წესდებით შეიძლება გადანაწილდეს საწარმოს მართვის სხვა ორგანოებზე, ისევე, როგორც დირექტორების ფუნქციები შეიძლება გადაეცეს სამეთვალყურეო საბჭოს;
- გ) კომპანიის წესდებით შეიძლება განისაზღვროს, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრ(ებ)ი იყოს ამ სააქციო საზოგადოების დირექტორი/დირექტორები;

³⁷ იქვე.

³⁸ იქვე.

³⁹ იქვე.

დ) „თუ სააქციო საზოგადოება არის „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ანგარიშვალდებული სანარმო, რომლის ფასიანი ქაღალდები დაშვებულია სავაჭროდ საფონდო ბირჟაზე, ამ სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს ერთი წევრი მაინც უნდა იყოს პირი, რომელიც არ არის აღნიშნული საზოგადოების თანამშრომელი ან ამ საზოგადოებასთან პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებული პირი და არ არის ჩართული მის ყოველდღიურ საქმიანობაში, ამასთანავე, დამოუკიდებელი“;

ე) „სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე იმავდროულად არ შეიძლება იყოს ამ საზოგადოების დირექტორი“;

ვ) „სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს არ შეუძლია შეიტანოს სარჩელი ამ საზოგადოების დირექტორების წინააღმდეგ, თუ იგი თავად არის დირექტორი. ასეთი სარჩელის შეტანა შეუძლია სამეთვალყურეო საბჭოს იმ წევრს, რომელიც არ არის ამ საზოგადოების დირექტორი“.

აღნიშნული მუხლის ნორმები მეტყველებს ჰიბრიდული სისტემის მაღალ სტანდარტზე.⁴⁰

⁴⁰ ლ.კოკია კორპორაციული მართვის თანამედროვე სისტემები. თბ. ჯურნ.სახ. Business media georgia , 27.12.17წ. <https://www.bm.ge/>, წვდ. თარიღი: 16.06.2019წ.

2.2. დირექტორის ვალდებულება კომპანის მართვისას

საწარმოს დირექტორის ვალდებულებები განისაზღვრება: საქართველოს კანონმდებლობით, საწარმოს წესდებით და მათთან დადებული ხელშეკრულებებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).⁴¹

დირექტორის ვალდებულებები ძირითადად ორ ჯგუფად იყოფა: **კანონისმიერი ვალდებულებები** – ვალდებულებები, რომლებიც კანონით არის გათვალისწინებული და **გარიგებითი ვალდებულებები** – ვალდებულებები, რომლებიც დირექტორს გააჩნია საწარმოს წესდებიდან ან მასთან დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე.⁴²

კორპორაციის დირექტორებს სამართავად გადაცემული აქვთ სხვისი (საზოგადოების) ქონება, მათი უპირველესი ვალდებულება სწორედ ამ ქონების დაცვა და ზიანის თავიდან აცილებაა. ამ ვალდებულების დარღვევა დირექტორებისათვის წარმოშობს შიდაკორპორაციულ პასუხისმგებლობას ანუ საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობას.⁴³

საქართველოში „მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-9-ე მუხლის მე-6-ე ნაწილი, ასევე ამავე კანონის მე-56-ე მუხლის მე-4-ე ნაწილი და კანონი ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ 16.1 მუხლი განსაზღვრავენ დირექტორთა ვალდებულებებს, რომლის მიხედვითაც დირექტორებს გააჩნიათ სამი ძირითადი ვალდებულება საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისას, ესენია:

1. კეთილსინდისიერების მოვალეობა;

⁴¹ საქართველოს კანონი „მენარმეთა შესახებ“ თბ., 1994, 47-ე მუხლის 3 ნაწილი.

⁴² <https://blh.com.ge/%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91/> უკანასკნელად იქნა ვადამონმებული 05.04.2019წ.

⁴³ იქვე.

2. ზრუნვის მოვალეობა - ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიური თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი სალად მოაზროვნე პირი.

3. ერთგულების ვალდებულება - უნდა მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია კომპანიისათვის.

ზემოთ აღნიშნული ვალდებულების შესრულება დირექტორებისათვის სავალდებულოა თუკი სურთ, რომ თავიდან აირიდონ პასუხისგებლობა და შემდგომში არ წარმოეშობთ ვალდებულება კომპანიის წინაშე ზარალის გამო, ვინაიდან „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9 მუხლის 6 ნაწილის მიხედვით: „თუკი დირექტორები არ შეასრულებენ აღნიშნულ მოვალეობებს, საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისთვის პასუხს აგებენ, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშვალოდ“.

დირექტორის „ვალდებულება“ (მოვალეობა) - ძალიან ფართო ცნებაა და სხვადასხვა სახელმწიფოები განსხვავებულად განმარტავენ, რომელიც ასახულია კანონში ან სასამართლოს გადაწყვეტილებებში.

ქართული კანონმდებლობისგან განსხვავებით ინგლისში, კომპანიათა შესახებ აქტი დირექტორის შვიდ ძირითად ვალდებულებას აღგენს, ესენია:

1. იმოქმედოს უფლებამოსილების ფარგლებში;
2. ხელი შეუწყოს კომპანიის წარმატებას;
3. მიიღოს დამოკიდებელი და მიუკერძოებელი გადაწყვეტილება;
4. გამოიჩინოს გონივრული ზრუნვა, უნარები და გულმოდგინება;
5. თავი არიდოს ინტერესთა კონფლიქტს;
6. უარი თქვას მესამე პირებისაგან რაიმე სარგებლის მიღებაზე;
7. მოახდინოს კონკრეტულ ტრანზაქციასთან დაკავშირებით პირადი დაინტერესების კანონმდებლობის შესაბამისად გამჟღავნება-დეკლარირება;⁴⁴

⁴⁴ ლევან ცერცვაძე - „დირექტორატის მოვალეობები კომპანიის შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას“, თბ, გამომც. იურისტების სამყარო 2016წ., გვ.132-133.

კომპანიის ხელმძღვანელობასა და მართვასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხს ღირეფტორი უნდა მოეკიდოს მოწესრიგებული ბიზნესმენის გულმოდგინებით. აღნიშნულ ზოგადი ვალდებულება, რასაც გერმანიის შპს-ს შესახებ კანონი ადგენს, თავის თავში აერთიანებს ვალდებულებათა მთელ რიგს, კერძოდ: ღირეფტორის ვალდებულება გამოიყენოს მთელი ძალისხმევა კომპანიის საუკეთესო ინტერესების მისაღწევად, უზრუნველყოს კომპანიის საქმიანობის შესაბამისობა კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციებთან უზრუნველყოს სათანადო ფინანსური და ბუღალტრული ჩანაწერების არსებობა, არ გადაიხადოს არ დაეთანხმოს არამიზნობრივად თანხის გადახდას, არ ჩადგეს კომპანიასთან კონკრეტულ მდგომარეობაში და არ მიითვისოს მისი ბიზნეს შანსები. საიდუმლოდ შინახოს და არ გაამჟღავნოს კომპანიის კუთვნილი კონფიდენციალური ინფორმაცია.⁴⁵

მოწესრიგებული და გონიერი ბიზნესმენების გულმოდგინებით საქმისადმი დამოკიდებულების აუცილებლობა ასევე ავალდებულებს ღირეფტორს, თავიდან აირიდოს ნებისმიერი სახის რისკი, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას კომპანიის არსებობას. სს-ის ღირეფტორატი ვალდებულია შექმნას და პრაქტიკაში დანერგოს რისკების მართვის სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემს მას წინასწარ დაადგინოს და თ ავიდან აირიდოს მოვლენათა იმგვარი განვითარება, რამაც შეიძლება კომპანიის არსებობას შეუქმნას საფრთხე.⁴⁶

მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-8 ნაწილის ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ თუ კი დომინანტი პარტნიორი ან ერთად მოქმედი პარტნიორთა ჯგუფი ბოროტად გამოიყენებს თავის დომინანტურ მდგომარეობას საზოგადოების ინტერესების საწინააღმდეგოდ, მაშინ მან დანარჩენ პარტნიორებს უნდა აუნაზღაუროს ეს ზიანი.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ცხადი ხდება, თუ რაოდენ დიდია ღირეფტორის როლი აქციონერთა (პარტნიორთა) მიერ საკუთარი უფლებების დაცვისა და რეალიზაციის თვალსაზრისით. როგორც ზემოთ აღინიშნა, ზიანის ანაზღაურებასთან

⁴⁵ ლევან ცერცვაძე - „ღირეფტორატის მოვალეობები კომპანიის შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას”, თბ, გამომც. „იურისტების სამყარო” 2016წ., გვ.132-133.

⁴⁶ იქვე გვ.132-133.

დაკავშირებით დაზარალებული აქციონერი მიმართავს დირექტორატს, ხოლო დირექტორატი, როგორც საწარმოს წარმომადგენელი და მმართველ იორგანო, საწარმოს სახელით გვევლინება მოსარჩელედ ზიანის მიმყენებელი აქციონერის წინააღმდეგ.⁴⁷

მენარმეთა შესახებ- საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-10 ნაწილის თანახმად, საზოგადოების პარტნიორს უფლება აქვს მიიღოს ინფორმაცია საზოგადოების საქმიანობის შესახებ, მაგალითად, წლიური ანგარიშის ასლი, ხოლო აღნიშნული ინფორმაციის გაცემაზე ვალდებული პირი არის საზოგადოება, ანუ დირექტორატი, როგორც საზოგადოების ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი ორგანო.

დელავერის შტატში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, დირექტორს აქვს უფლება, ფლობდეს სრულ ინფორმაციას ბორდის მიერ განსახორციელებელ ოპერაციებთან დაკავშირებით, თუმცა არსებობს შემთხვევები, როცა აქციონერს შესაძლებლობა აქვს, არ დაუშვას დირექტორი რაიმე ინფორმაციასთან. გარდა ასეთი გამონაკლისისა, დირექტორი ყველა შემთხვევაში უფლება მოსილია ფლობდეს სრულ ინფორმაციას კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებით. მმართველობის კოლეგიური ორგანოს წევრი ვალდებულია დანარჩენ წევრებს გააცნოს ინფორმაცია, რომელიც მნიშვნელოვანია მათ მიერ გადაწყვეტილების მიღების ან ზედამხედველობის განსახორციელებლად.⁴⁸

მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონი დირექტორებს ავალდებულებს გამოიჩინონ წინდახედულება და გადაწყვეტილების მიღებისას მოიქცნენ ისე, როგორც გონიერი ადამიანი მოიქცეოდა მსგავს სიტუაციაში. ბუნებრივია, დირექტორი ყველა საკითხთან დაკავშირებით ამომწურავ ცოდნას და ინფორმაციას არ ფლობს. მას შეუძლია დაეყრდნოს თანამშრომელთა მიერ მიწოდებულ ცნობებსა და მოხსენებებს, ბორდის კომიტეტის დასკვნებს, იურისტის, საგადასახადო მრჩევლის ან სხვა ექსპერტის რეკომენდაციებს. გადაწყვეტილებების მიღებისას იგი ასევე უფლებამოსილია

⁴⁷ იქვე გვ.133.

⁴⁸ ლევან ცერცვაძე - „დირექტორატის მოვალეობები კომპანიის შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას“, თბ, გამომც. „იურისტების სამყარო“ 2016წ., გვ.132-133.

კომიტეტის ან თანამდებობის პირთა მიერ დელეგირებული უფლებამოსილების შესრულების შედეგები გაითვალისწინოს.⁴⁹

ყველაფერი ზემოთ თქმულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ დირექტორმა თავისი კანონისმიერი და სახელშეკრულებო ვალდებულებები უნდა შეასრულოს კეთილსინდისიერების, ზრუნვისა და ერთგულების პრინციპების დაცვით, ამ ვალდებულებების დარღვევამ შესაძლოა გამოიწვიოს დირექტორთა პირადი პასუხისმგებლობას საწარმოს წინაშე .

2.3. ზრუნვის მოვალეობა

მოსამართლე ტინდალის მიერ 1837 წელს Vaughan v. Menlove საქმის განხილვისას პირველად იქნა გამოყენებული და დადგენილი გონიერი ადამინის სტანდარტი, როგორც მოქმედების შეფასების ობიექტური კრიტერიუმი. სტანდარტი გულისხმობს საწარმოს მიმართ ზრუნვასა და გულმოდგინებას ისე, როგორც ამას ელოდებიან ჩვეულებრივ ფრთხილი და წინდახედული დირექტორისაგან მსგავს სიტუაციაში.⁵⁰ ზრუნვის მოვალეობა მოითხოვს, რომ გადაწყვეტილების მიღებამდე, დირექტორთა მხრიდან სათანადოდ იყოს შესწავლილი და გამოძიებული საკითხი.

დირექტორთა ქცევის მიმართ დადგენილი ეს მოთხოვნები შეიცავენ როგორც სუბიექტურ, ისე ობიექტურ ელემენტებს. ობიექტურ მაშტაბად მიიჩნევა ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი წინდახედული პირის გულმოდგინება, მას გონივრულად უნა სწამდეს, რომ მოქმედებს კორპორაციის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე - ერთდროულად წარმოადგენს ობიექტურსაც

⁴⁹ გ. ჯუღელი , კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, თბ, გამომც. „სისტა“ 2010 , გვ.166.

⁵⁰ ლ. ცერცვაძე, დირექტორატის მოვალეობები კომპანიების შეწარმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას (შედარებით სამართლებრივი ანალიზი) თბ., გამომც. „ იურისტების სამყარო“. 2016, გვ.136.

და სუბიექტურსაც. ერთის მხრივ, დირექტორიც და მენეჯერიც უნდა ფიქრობდნენ, რომ მათი ქცევა კორპორაციის ინტერესებშია და მათი ეს აზრი ობიექტურადაც თვალსაჩინო უნდა იყოს. გულმოდგინების მოვალეობა თანაბრად აკისრიათ როგორც დირექტორებს, ისე მენეჯერებს.⁵¹

გულმოდგინე ხელმძღვანელის მოვალეობის ზოგად განმარტებას იძლევა გერმანიის კანონი და კანონი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ.

გერმანიის სააქციო კანონის თანახმად: გამგეობის წევრებმა ხელმძღვანელობის განხორციელებისას უნდა გამოიყენონ წესიერი და კეთილსინდისიერი ხელმძღვანელის გულმოდგინება. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ გერმანული კანონის თანახმად კი, ხელმძღვანელებმა საზოგადოების საქმეებში უნა გამოიყენონ წესიერი ბიზნესმენის გულმოდგინება”. აღნიშნული ზოგადი ვალდებულება, რასაც შპს-ს შესახებ კანონი ადგენს, თავის თავში აერთიანებს ვალდებულებათა მთელ რიგს, კერძოდ : დირექტორის ვალდებულება გამოიყენოს მთელი ძალისხმევა კომპანიის საუკეთესო ინტერესების მისაღწევად, უზრუნველყოს კომპანიის საქმიანობის შესაბამისობა კანონმდებლობით დადგენილ რეგულაციებთან და მოთხოვნებთან, უზრუნველყოს სათანადო ფინანსური და ბუღალტრული ჩანაწერებისარსებობა, არ გადაიხადოს ან არ დაეთანხმოს არამიზნობრივად თანხის გადახდას, არ ჩადგეს კომპანიასთან კონკურენტულ მდგომარეობაში და არ მიითვისოს მისი ბიზნეს შანსები. საიდუმლოდ შეინახოს და არ გაამჟღავნოს კომპანიის კუთვნილი კონფიდენციალური ინფორმაცია.⁵²

ამრიგად თანამდებობის პირებმა, რომლებიც სხვის ქონებას მართავენ, გულმოდგინედ უნდა შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობები ისე, რომ დაუდევრობამ, ე.ი მოვალეობათა არაგულმოდგინედ შესრულებამ არ მიაყენოს ზიანი საზოგადოებას.

მენარმეთს შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 6 ნაწილი ადგენს დირექტორების და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ვალდებულებას, მართონ

⁵¹ იქვე, გვ.136.

⁵² ლ. ჭანტურია კორპორაციული მართვა და ხელმძღვანეთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბ., გამომ. „სამართალი“ 2006, გვ. 206

საწარმო კეთილსინდისიერად და ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი საღად მოაზროვნე პირი და მოქმედებენ იმრწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საწარმოსათვის.⁵³

ნორმა ძალიან ზოგადია, და არ განმარტავს თუ ვინ მოიაზრება მსგავს სიტუაციაში „თანამდებობაზე მყოფ ჩვეულებრივ საღად მოაზროვნე პირად“ და რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს იგი.⁵⁴

საინტერესოა ამერიკის სამართლის ინსტიტუტის მიერ შემუშავებული კორპორაციული მართვის პრინციპები, რომლის თანახმად, დირექტორი, რომელიც იღებს ბიზნეს გადაწყვეტილებას, მოქმედებს საკუთარი ვალდებულების შესაბამისად თუკი მას: არ გააჩნია პირადი დაინტრესება, ფლობს სათანადო ინფორმაციას, იმ მოცულობით, რაც მისი გონივრული რწმენის შესაბამისად აუცილებელია კონკრეტული გადაწყვეტილების მისაღებად, რაციონალურად სჯერა, რომ ბიზნეს გადაწყვეტილება კომპანიის საუკეთესო ინტერესებს ემსახურება.⁵⁵

თავად მტკვიცების ტვირთი, რომ დირექტორის მიერ დარღვეულ იქნა ზრუნვის ვალდებულება, ეკისრება მოსარჩელეს. ხოლო თუკი დავა ეხება ზიანს, მაშინ მოსარჩელეა ვალდებული დაადასტუროს, რომ ზიანი ვალდებულების დარღვევამ გამოიწვია.⁵⁶

ამიტომაც, აუცილებელია დადგენილ იქნეს მინიმალური სტანდარტი დირექტორის მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან მიმართებაში. დირექტორი ვალდებულია გააანალიზოს ყველა შესაძლო ალტერნატიული გადაწყვეტილება კონკრეტულ კორპორაციულ ტრანზაქციასთან დაკავშირებით, სადაც ასევე მის მიერ გათვალისწინებული უნდა იქნეს ტრანზაქციის მნიშვნელობა კომპანიისათვის, მისი

⁵³ იქვე, გვ. 208

⁵⁴ ლ. ცერცვაძე, დირექტორატის მოვალეობები კომპანიების შეწინააღმდეგებლობის და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას (შედარებით სამართლებრივი ანალიზი) თბ., გამომც. „ იურისტების სამყარო“. 2016, გვ.140.

⁵⁵ ლ. ცერცვაძე, დირექტორატის მოვალეობები კომპანიების შეწინააღმდეგებლობის და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას (შედარებით სამართლებრივი ანალიზი) ქ. თბილისი , გამომც. „ იურისტების სამყარო“. 2016, გვ.143-144.

⁵⁶ იქვე, გვ.143-144.

ღირებულება, მან უნდა შეძლოს იმის დადასტურება, რომ გადანაცვეტილება მიიღო დასაბუთებული და სრულყოფილის ინფორმაციის საფუძველზე.

ამრიგად ზრუნვის მოვალეობა მოითხოვს, რომ დირექტორი უნდა მოქმედებდეს კეთილსინდისიერად იმ ინფორმაციის საფუძველზე, რაც მასხელთ აქვს და არ ეხება ინფორმაციის წარმომავლობას, წყაროს. შესაბამისად, დირექტორების მხრიდან ზრუნვის ვალდებულება დარღვეულად არ ითვლება, როდესაც ისინი გადანაცვეტილებას იღებენ უფლებამოსილ პირთაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. მიუხედავად ამისა ყურადსაღებია ის გარემოება, რომ ამერიკაში ერთ-ერთი ცნობილი საქმის Smith v Van Gorkom განხილვისას გაირკვა, ფინანსური ინტერესის არმქონე დირექტორიც კი შეიძლება იყოს პერსონალურად პასუხისმგებელი ბიზნეს გადანაცვეტილების გამო, თუკი მის მიერ დარღვეულ იქნა ზრუნვის ვალდებულების აუცილებელი სტანდარტი, ანუ დირექტორის მხრიდან ინტერესის არ ქონა, არ ნიშნავს, რომ იგი აუცილებლად კეთილსინდისიერად იღებს გადანაცვეტილებას.⁵⁷

ზრუნვის მოვალეობა თავის მხრის მოიცავს ინფორმაციისა და ცოდნის მოვალეობასაც.

Smith v. Van Gorkom საქმის განხილვისას, დელავერის სასამართლომ ხაზი გაუსვა ინფორმირებულობის ვალდებულების მნიშვნელობას და განმარტა, რომ ზრუნვის მოვალეობა ავალდებულებს დირექტორს, გადანაცვეტილების მიღებამდე გაეცნოს ნებისმიერი სახის მნიშვნელოვან ინფორმაციას, რაც გონივრულობის ფარგლებში მისთვის ხელმისაწვდომია.⁵⁸

ასევე, დელავერის შტატში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, დირექტორს აქვს უფლება ფლობდეს სრულ ინფორმაციას ბორდის მიერ განსახორციელებელ ოპერაციებთან დაკავშირებით, თუმცა არსებობს შემთხვევები, როცა აქციონერს შესაძლებლობა აქვს არ დაუშვას დირექტორი გარკვეული სახის ინფორმაციასთან. გარდა ასეთი გამონაკლისისა, დირექტორი ყველა შემთხვევაში

⁵⁷ იქვე, გვ. 144.

⁵⁸ ლ. ცერცვაძე, დირექტორატის მოვალეობები კომპანიების შეწრწმუნისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას (შედარებით სამართლებრივი ანალიზი) ქ. თბილისი, გამომც. „იურისტების სამყარო“. 2016, გვ. 143-144.

უფლებამოსილია ფლობდეს სრულ ინფორმაციას კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებით. თავად მმართველობის კოლეგიური ორგანოს წევრი ვალდებულია დანარჩენ წევრებს გააცნოს ინფორმაცია, რომელიც მნიშვნელოვანია მათ მიერ გადაწყვეტილების მიღების განსახორციელებლად. ინფორმირებულობის მოვალეობა არ გულისხმობს დირექტორის მხრიდან ყველა საკითხთან დაკავშირებით ამომწურავი ცოდნის ვალდებულებას. მას შეუძლია დაეყრდნოს თანამშრომელთა მიერ მიწოდებულ ცნობებსა და მოხსენებებს, ბორდის კომიტეტის დასკვნებს, იურისიტის, საგადასახადო მრჩევლის ან სხვა ექსპერტის რეკომენდაციებს. გადაწყვეტილებების მიღებისას იგი ასევე უფლებამოსილია კომიტეტის ან თანამდებობის პირთა მიერ დელეგირებული უფლებამოსილების შესრულების შედეგები გაითვალისწინოს.⁵⁹

საქართველოს კანონი მენარმეთა შესახებ, რაიმე სპეციალურ დანაწესს მითითებულ უფლებასთან დაკავშირებით არ იცნობს. არადა ამ უფლების რეალიზაციის გარეშე, დირექტორი ვერ შეძლებს თავის ვალდებულებების სრულყოფილად შესრულებას.⁶⁰ მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონი მე-9 მუხლი 6 ნაწილის თანახმად „დირექტორებს ავალდებულებს გამოიჩინონ წინდახედულება და გადაწყვეტილების მიღებისას მოიქცნენ ისე, როგორც გონიერი ადამიანი მოიქცეოდა მსგავს სიტუაციაში”.

დირექტორი ასევე ვალდებულია გამოავლნოს გონივრული ზრუნვა, უნარები და გულისხმიერება საწარმოს საკეთილდღეოდ. აღნიშნული გულისხმობს ცოდნას და გამოცდილებას, რომელსაც გონივრულად ელოდებიან დირექტორის პოზიციაზე მყოფი ადამიანისგან. აღნიშნული ნორმა ნორმა იძლევა შესაძლებლობას წარდგენილ იქნეს პრეტენზია დირექტორის წინააღმდეგ, თუკი იგი არაკვალიფიციური და ამ თვალსაზრისით დაკავებული პოზიციისათვის შეუფერებელი აღმოჩნდება⁶¹.

⁵⁹ იქვე, გვ.146.

⁶⁰ იქვე, გვ.146-147.

ლ. ცერცვაძე, დირექტორატის მოვალეობები კომპანიების შენწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას (შედარებით სამართლებრივი ანალიზი) თბ., გამომც. „იურისტების სამყარო”. 2016, გვ.144⁶¹.

2.4. ერთგულების მოვალეობა

ერთგულების მოვალეობა ავალდებულებს დირექტორს, გამორიცხოს კონკურენცია კომპანიასთან პირადი დაინტერესების გამო. დირექტორი ვალდებულია მოქმედებდეს კეთილსინდისიერად, რათა წვლილი შეიტანოს კომპანიის წარმატებაში. პირადი გამორჩენის მიზნით მან არუნდა გამოიყენოს რესურსები და შესაძლებლობები, რომელიც კომპანიას ეკუთვნის.⁶²

⁶² ლ. ცერცვაძე, დირექტორატის მოვალეობები კომპანიების შენარჩუნებისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას (შედარებით სამართლებრივი ანალიზი) თბ., გამომც. „ იურისტების სამყარო“, 2016, გვ.163.

სამენარმეო სამართლის მე-9-ე მუხლის მე-6-ე პუნქტის მეორე აბზაცის მიხედვით: ღირეფტორებს უფლება არ აქვთ პირადი სარგებლის მიღების მიზნით გამოიყენონ საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა თავიანთი მოვალეობების შესრულების ან თანამდებობრივი მდგომარეობის გამო. მსგავს დანაწეს შეიცავს ამერიკული საკორპორაციო სამართალი, რომლის მიხედვით: „ღირეფტორი ვალდებულია არ გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც მან თავის საქმიანობის განხორციელებისას მიიღო. აგრეთვე მას ეკრძალება გამოიყენოს ეს ინ ფორმაცია საკუთარი მიზნებისათვის”.⁶³

სამენარმეო სამართლის მე-9-ე მუხლის მე-6-ე პუნქტი ასევე გნმარტავს, რომ ,, ღირეფტორატისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს, ასეთის არსებობისას, პარტნიორთა კრების წინასწარი თანხმობის გარეშე უფლება არ აქვთ, პირადი სარგებლობის მიღების მიზნით, გამოიყენონ საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა თავიანთი მოვალეობების შესრულებისას ან თანამდებობრივი მდგომარეობის გამო”.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთი საქმის განხილვისას აღნიშნა, რომ საზოგადოების ყველა ორგანო და ყოველი წევრი ვალდებულია, ხელი შეუწყოს საზოგადოებას და მისი ინტერესების განხორციელებას. ხოლო ღირეფტორები ხმის მიცემისას უნდა გამოდიოდნენ საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე.⁶⁴

მსგავს ნორმებს იცნოს ამერიკის სამენარმეო სამართალიც, მაგრამ არსებობს ერთი გამონაკლისი, რომელიც საქართველოს მენარმეთს სამართალი არ იცნობს, კერძოდ: დელავერის შტატის სამენარმეო სამართლის თანახმად, სანარმოს ხელმძღვანელი ვალდებულია მისთვის ცნობილი სამენარმეო შანსები თავდაპირველად კორპორაციას აცნობოს. მათზე სანარმოს მხრიდან უარის თქმის შემთხვევაში, ღირეფტორს შეუძლია სამენარმეო შესაძლებლობით თავად ისარგებლოს.⁶⁵

⁶³ იქვე, 163.

⁶⁴ ლ. ცერცვაძე, ღირეფტორატის მოვალეობები კომპანიების შეწარმენისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას (შედარებით სამართლებრივი ანალიზი) თბ. , გამომც. ,, იურისტების სამყარო”, 2016, გვ. 163-164.

⁶⁵ იქვე, გვ. 163-164.

კორპორაციული შესაძლებლობების გამოყენებასთან დაკავშირებით, დირექტორს შეუძლია წინასწარ გამოითხოვოს თანხმობა მათ გამოყენებაზე, რითაც თავიდან მოიშორებს პასუხისმგებლობას. დირექტორის პასუხისმგებლობა ასევე არ დადგება, თუკი განხორციელებულ ტრანზაქციასთან დაკავშირებით იგი დაასაბუთებს, რომ, პირველ რიგში, საწარმოს ინტერესების შესაბამისად მოქმედებდა.⁶⁶

ამიტომაც გაუგებრობების თავიდან აცილების მიზნით, “მენარმეთა შესახებ” კანონი უნდა იძლეოდეს ვალდებულებათა ნათელ განმარტებას.

ამერიკის შეერთებულ შტატებში გადანყვეტილებას გარიგების დასაშვებობის შესახებ, როგორც აღვნიშნე დამოუკიდებელი დირექტორებისგან შემდგარი ბორდი იღებს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მსგავსი სახის გადანყვეტილებები სამეთვალყურეო საბჭომ უნდა მიიღოს, ასეთის არსებობის შემთხვევაში. მაგრამ სამეთვალყურეო საბჭოს არსებობა სავალდებულო აღარ არის, შესაბამისად, საწარმოში, რომელსაც ეს ორგანო არ ჰყავს, დირექტორის გადანყვეტილება კონტროლის გარეშე რჩება, ვინაიდან შეუძლებელია აქციონერთა საერთო კრებამ ყოველდღიური საქმიანობის კონტროლი განახორციელოს ან რომელიმე აქციონერმა მოინდომოს დირექტორის საქმიანობის გაკონტროლება დამოუკიდებლად საკუთარი რესურსით.

ნებისმიერი სახის ქმედება, რომელმაც შესაძლოა მოგება მოუტანოს დირექტორს და ამის საპირისპიროდ დანაკარგი განიცადოს კომპანიამ, განხილულ უნდა იქნეს დირექტორის მხრიდან ერთგულების მოვალეობის დარღვევად.⁶⁷

დაცული რომ იქნეს დირექტორის მხრიდან ერთგულების მოვალეობა, იგი ვალდებულია გააკეთოს ყველაფერი იმისათვის, რათა თავიდან აირიდოს დანაკარგი ან თავი შეიკავოს ისეთი ქმედებისაგან, რამაც შეიძლება ნეგატიური შედეგები მოუტანოს კომპანიას. დირექტორი ვალდებულია პირად ინტერესებზე მალლა საწარმოს ინტერესი დააყენოს და განსაკუთრებული წინდახედულებისა და ზრუნვის საფუძველზე მიიღოს საბოლოო გადანყვეტილება. ზემოაღნიშნული იმგვარად არ უნდა იქნეს გაგებული, რომ

⁶⁶ გ. ჯუღელი, კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, თბ., გამომც. „სიესტა“, 2010, გვ.171.

დირექტორი მუდმივად ზედამხედველობის ქვეშაა და მისი თითოეული გადაწყვეტილება კანონმდებლობით დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით გადის კონტროლს. პირიქით, დელავერის სააპელაციო სასამართლომ მსოფლიოში ცნობილ პარამაუნთის საქმის განხილვისას განმარტა, რომ “ჩვეულებრივ ვითარებაში, არც სასამართლოს და არც თვით აქციონერებს აქვთ უფლება, ჩაერიონ დირექტორატის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.”⁶⁸

2.4 ინტერესთა კონფლიქტი

ინტერესთა კონფლიქტი გულისხმობს ინტერესთა და ვალდებულებათა კონფლიქტს და კონფლიქტს ვალდებულებათა შორის.⁶⁹

დირექტორს მოეთხოვება როგორც კონკრეტული ინტერესის არქონა, (დისინტერესტედ) ასევე დამოუკიდებლობა გადაწყვეტილების მიღების დროს.

⁶⁸ ლ. ცერცვაძე, დირექტორატის მოვალეობები კომპანიების შეწინააღმდეგებისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას (შედარებით სამართლებრივი ანალიზი) თბ., გამომც. „იურისტების სამყარო“, 2016, გვ.164

⁶⁹ ლ. ცერცვაძე, დირექტორატის მოვალეობები კომპანიების შეწინააღმდეგებისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას (შედარებით სამართლებრივი ანალიზი) თბ., გამომც. „იურისტების სამყარო“, 2016, გვ.164.

ინტერესის არ ქონა გულისხმობს, რომ იგი არ უნდა ელოდეს რაიმე სახის პერსონალურ სარგებელს გარიგებიდან ხოლო დამოუკიდებლობა კი იმას, რომ მას არ უნდა ჰქონდეს პირადი ან სხვა იმგვარი ურთიერთობა დაინტერესებულ დირექტორთან, (რომელიც მხარეს წარმოადგენს კომპანიასთან ურთიერთობაში), რაც წარმოშობს გონივრულ შესაძლებლობას, რომ გავლენას იქონიებს მის დამოუკიდებლობაზე.⁷⁰

აგრეთვე დირექტორს არ უნდა გააჩნდეს მატერიალური ინტერესი. მატერიალური ინტერესი მოიცავს ტრანზქციის შედეგად მიღებულ სარგებელს ან ასეთი სარგებლის მღების პოტენციურ შესაძლებლობას (პოტენციური სარგებელი).⁷¹

დირექტორს ეკრძალება გამოიყენოს საკუთარი პოზიცია პირადი სარგებლის მიღების მიზნით. აღნიშნული არ მოიცავს დირექტორის მიერ საკუთარი მომსახურების სანაცვლოდ კომპანიისაგან მიღებულ შემოსავალს და სარგებელს. სარგებლის მიღება აკრძალულია მხოლოდ მაშინ, თუკი მისი მიღება ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. აღნიშნული განსხვავდება კომპანიის ქონების, ინფორმაციის თუ შანსების ექსპლოატაციისაგან იმით, რომ ამ შემთხვევაში დირექტორი სარგებელს იღებს მესამე პირისგან.⁷²

დირექტორი ვალდებულია უარი თქვას, მესამე პირისაგან ნებისმიერი სახის ისეთ სარგებელის მიღებაზე, რომელსაც მას სთავაზობენ მხოლოდ იმიტომ, რომ იკავებს დირექტორის პოზიციას, ან იმიტომ, რომ შეასრულოს (ან არ შეასრულოს) რაიმე სახის მოქმედება, როგორც დირექტორმა.⁷³

ინტერესთა კონფლიქტის ლეგალურ დეფინიციას ქართული საკორპორაციო სამართალი არ იცნობს, შესაბამისად, ხშირად იგი კონკურენციის აკძალვასთან მიმართებით განიხილება.⁷⁴

დირექტორს აქციონერთა თანხმობის გარეშე არ შეუძლია იმავე საქმიანობის განხორციელება, რასაც საწარმო ეწევა. ინტერესთა კონფლიქტის აღმკვეთ

⁷⁰ იქვე, გვ. 167-168.

⁷¹ იქვე, გვ. 167-168.

⁷² გ. ჯუღელი, კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, ქ. თბილისი, გამომც. „სიესტა“, 2010, გვ. 249-251.

⁷³ გ. ჯუღელი, კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, თბ., გამომც. „სიესტა“, 2010, გვ. 249-251.

⁷⁴ ლ. ჭანტურია, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბ., გამომც. „სამართალი“ 2006, გვ. 311.

ლონისძიებად პარტნიორთა ინფორმირებულობა და იმ კორპუსის, ორგანოს თანხმობა გვევლინება, რომელიც დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს.⁷⁵

„ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის 16-ეს პირველი პრიმა მუხლი ინტერესთა კონფლიქტს და ინფორმაციის განცხადებას ეხება(მუხლის მოქმედება ვრცელდება ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრზე ანდა ხმათა საერთო რაოდენობის 20%-ის ან მეტის პირდაპირ ან არაპირდაპირ მფლობელ აქციონერზე), რომლის თანახმადაც: ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრი ანდა ხმათა საერთო რაოდენობის 20%-ის ან მეტის მფლობელი აქციონერი დაინტერესებულ პირად მიიჩნევა, თუ იგი:

- ა) არის გარიგების მეორე მხარე;
- ბ) პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს იმ იურიდიული პირის ხმათა საერთო რაოდენობის 20%-ს ან მეტს, რომელიც გარიგების მეორე მხარეა;
- გ) არის გარიგების მეორე მხარის მმართველი ორგანოს წევრი;
- დ) დანიშნულია/არჩეულია ამ ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრად გარიგების მეორე მხარის ანდა გარიგების მეორე მხარის ხმათა საერთო რაოდენობის 20%-ის ან მეტის მფლობელის (მფლობელების) წარდგინებით;
- ე) გარიგების საფუძველზე იღებს ფულად ან სხვა სახის სარგებელს, რომელიც არ არის დაკავშირებული ამ ანგარიშვალდებული საწარმოს წილის ფლობასთან ან მმართველი ორგანოს წევრობასთან;
- ვ) ასეთად განისაზღვრება ანგარიშვალდებული საწარმოს წესდებით.

ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულების დარღვევამ შესაძლოა გამოიწვიოს მიღებული შემოსავლის დაბრუნების და მიყენებული ზიანის ანაზღაურების დაკისრება დამრღვევისათვის, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ინტერესთა კონფლიქტი ნეგატიურად არ ასახულა კომპანიაზე. მოთხოვნა შესაძლოა წარდგენილ იქნეს როგორც თავად კომპანიის მიერ, ასევე კომპანიის სახელით, ნებისმიერი აქციონერის მიერ.

ზოგადი პრინციპების თანახმად ინტერესთა კონფლიქტი სახეგა, თუ: 1. ხელმძღვანელი პირი გარიგების მხარეა, 2. გარიგების მიმართ მნიშვნელოვანი

⁷⁵ საქართველოს კანონი “მენარმეთა შესახებ”, ქ.თბილისი. 1994, მე-9-ე მუხლის 5 ნაწილი.

ინტერესი აქვს ან 3. იცის, რომ მასთან დაკავშირებული პირი გარიგების მონაწილე/არსებითი ინტერესის მქონეა. ყველა ამ შემთხვევაში საფრთხის ქვეშ დგება ხელმძღვანელის მიერ მიუკერძოებელი და სანარმოს ინტერესებისთვის შესაბამისი გადანყვეტილების მიღების შესაძლებლობა.⁷⁶

სამართლის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, არაკეთილსინდისიერად ქცევის ფაქტის მტკიცების ტვირთი იმ მხარეზეა, ვინც ეჭვქვეშ აყენებს სხვის კეთილსინდისიერებას, რადგან ივარაუდება, რომ ყველა ქცევა კეთილსინდისიერია, აღნიშნულზე დაკავშირებით მოქმედებს კეთილსინდისიერების პრეზუმფცია სანამ საპიესპირო არ დამტკიცდება.

თუმცა სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებების გაქარწყლების ვალდებულება ეკისრება დირექტორს, რომელმაც უნდა დაადასტუროს, რომ მას არ მიუძღვის ბრალი იმ ზიანის წარმოშობაში, რომელიც მიაღვა საზოგადოებას ან მესამე პირს და რომ იგი მოქმედებდა გულმოდგინე ხელმძღვანელის კეთილსინდისიერებით.

ზიანის მიმყენებელი ქმედების გამო პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ ამგვარი ქმედების განმახორციელებელ პირს. დაუშვებელია მისი გარიგებით გადასვლა სხვა მესამე პირზე (უფლებამონაცვლეობა). არც კანონი და არც სასამართლო პრაქტიკა ამგვარი პასუხისმგებლობის გადაცემის შესაძლებლობას არ ითვალისწინებს. ამდენად, დირექტორის მიმართ არსებული, მართსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, მის მემკვიდრეზე არ გადადის.⁷⁷

დირექტორის ვალდებულება ინტერესთა კონფლიქტისათვის თავის არიდების შესახებ ორ მნიშვნელოვან ფაქტორს აერთიანებს, ესენია: უარი ინტერესთა კონფლიქტზე “No conflict rule” და უარი სარგებლის მიღებაზე “ No profit rule”, რომლებიც განხილულ და გათვალისწინებულ უნდა იქნეს ცალ-ცალკე ერთმანეთისგან დამოუკიდებლად.⁷⁸

⁷⁶ ლ. ცერცვაძე, დირექტორატის მოვალეობები კომპანიების შეწინააღმდეგო და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას (შედარებით სამართლებრივი ანალიზი) თბ., გამომც., „ იურისტების სამყარო”, 2016, გვ.169-170.

⁷⁷ ლ. ცერცვაძე, დირექტორატის მოვალეობები კომპანიების შეწინააღმდეგო და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას (შედარებით სამართლებრივი ანალიზი) თბ., გამომც., „ იურისტების სამყარო”, 2016, გვ.170.

⁷⁸ იქვე, გვ.170.

„უარი ინტერესთა კონფლიქტზე“ დარღვევის შემთხვევაში, დირექტორი ვალდებულია დაუბრუნოს კომპანიას ის სარგებელი რაც მან მიიღო ისეთი ტრანზაქციისაგან, რომელიც ინტერესთა კონფლიქტის შემცველია და წარმოადგენს პირად ინტერესს და ფიდეიკიურ ვალდებულებას შორის კონფლიქტის შედეგს. აღნიშნული წესი არ გამოიყენება, თუკი კომპანიის მიერ ინფორმირებულობის საფუძველზე გაცემული იქნა თანხმობა ინტერესთა კონფლიქტის შემცველ ტრანზაქციასთან დაკავშირებით და დაინტერესებულ დირექტორს არ მიუღია მონაწილეობა თანხმობის გაცემასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებაში⁷⁹ და ასეთ დროს კომპანიას შეუძლია მოითხოვოს კომპენსაცია ან დირექტორის მიერ მიღებული მოგების გადაცემა კომპანიისათვის.

„უარი სარგებლის მიღებაზე“ გულისმობს, რომ დირექტორი ვალდებულია დაუბრუნოს კომპანიას ნებისმიერი სახის სარგებელი რაც მან მიიღო საკუთარი პოზიციის გამო, კომერციული შანსებისა და ინფორმაციის გამოყენების შედეგად, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისას და მას კომპანიისგან არ მიუღია წინასწარი თანხმობა მათ გამოყენებაზე. ამ უფლების დარღვევისას კომპანიას შეუძლია მოსთხოვოს დირექტორს მიღებული მოგების კომპანიისათვის გადაცემა, ხოლო სხვა სახის ანაზღაურება კომპენსაციის სახით ვერ იქნება მოთხოვნილი. იმ შემთხვევაში, თუკი მოგება საერთოდ არ ყოფილა გამომუშავებული, კომპანია ვერაფერს მოითხოვს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დირექტორი განთავისუფლდება პასუხისგებლობისგან ინტერესთა კონფლიქტის შემცველი ნებისმიერი გარიგების დადებისას, თუკი აღნიშნული გარიგების დადებამდე მოიპოვეს თანხმობას კომპანიისგან კანონმდებლობის შესაბამისად.⁸⁰

⁷⁹ იქვე, გვ.170.

⁸⁰ ლ. ცერცვაძე, დირექტორატის მოვალეობები კომპანიების შეწინააღმდეგებისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას (შედარებით სამართლებრივი ანალიზი) თბ., გამომც. „ იურისტების სამყარო“, 2016, გვ.170-171.

2.6. საკუთართან თავთან დადებული გარიგება

საკუთარ თავთან გარიგებაში მოიაზრება ისეთი შემთხვევა, როდესაც კომპანიის დირექტორი დგას კონკრეტული ხელშეკრულებისა თუ ტრანზაქციის ორივე მხარეს,

ერთი მხრივ, როგორც საკუთარ პირადი ინტერესების გამტარებელი და მეორე მხრივ, როგორც კომპანიის წარმომადგენელი, რომლის მიმართაც მას ფიდეციური ვალდებულება გააჩნია. დირექტორსა და კომპანიას შორის გაფორმებული ხელშეკრულება ან განხორციელებული ტრანზაქცია ექვემდებარება კომპანიის მხირდან მის გაუქმებას, თუკი იგი არ არის მისაღები და სამართლიანი კომპანიის ინტერესებისათვის. ხოლო თუ კომპანიისგან მიიღებს თანხმობას, როგორ ზემოთ აღვნიშნე კანონიერი გახდება⁸¹.

უნდა ითქვას, რომ ასეთი დადებული გარიგება არ ექვემდებარება ავტომატურად გაბათილებას და არ ნიშნავს, რომ ასეთი გარიგების დადებით დირექტორმა დაარღვია ერთგულების ვალდებულება კომპანიის მიმართ, ვინაიდან ხდება შეფასება სასარგებლო იყო თუ არა კომპანიის ინტერესებისათვის. მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის კანონმდებლობა ასეთ გარიგებას დასაშვებად მიიჩნევს და საკუთარ თავთან დადებული გარიგება საცილოა მხოლოდ მაშინ იქნება, თუკი იგი კომპანიისათვის უსამართლო პირობებს ადგენს. კანონმდებლობა ავალდებულებს დირექტორს კომპანიასთან საკონტრაქტო ურთიერთობაში შესვლამდე გარიგებასთან დაკავშირებით ყველა მნიშვნელოვანი ფაქტისა და გარემოების, მათ შორის საკუთარი დაინტერესების, სრულყოფილად გამჟღავნებას.⁸²

თავად თანხმობის მიღება არ ათავისუფლებს მას ვალდებულებისაგან იყოს სამართლიანი სანარმოს მიმართ და თუკი თანხმობის გარეშე დირექტორს გააჩნია ვალდებულება ამტკიცოს, რომ ტრანზაქცია სამართლიანი იყო კომპანიისათვის, თანხმობის გაცემის შემდეგ მტკიცების ტვირთი კომპანიაზე ინაცვლებს და ახლა უკვე ამ უკანასკნელს მოუწევს, დაადასტუროს, რომ ტრანზაქცია უსამართლო იყოს კომპანიისათვის. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 114-ე მუხლი, საკუთარ თავთან დადებულ გარიგებას მერყევად ბათილად მიიჩნევს.⁸³

⁸¹ ლ. ცერცვაძე, დირექტორატის მოვალეობები კომპანიების შენრწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას (შედარებით სამართლებრივი ანალიზი) თბ., გამომც. „ იურისტების სამყარო“, 2016,გვ.174.

⁸² იქვე,175.

⁸³ ლ. ცერცვაძე, დირექტორატის მოვალეობები კომპანიების შენრწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას (შედარებით სამართლებრივი ანალიზი)თბ.,გამომც. „ იურისტების სამყარო“, 2016,გვ.174

“მენარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 5-ე ნაწილის პრიველი აბზაცის თანახმად “დირექტორებს არა აქვთ უფლება, პარტნიორების თანხმობის გარეშე განახორციელონ იგივე საქმიანობა, რომელსაც ეწევა საზოგადოება, ან მონაწილეობა მიიღონ, როგორც მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში პერსონალურად პასუხისმგებელმა პარტნიორმა ან დირექტორმა, თუ წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული (ინტერესთა კონფლიქტი).

აღნიშნული ნორმის თანახმად დირექტორი არ არის უფლებამოსილი იკავებდეს კონკურენტ სანარმოებში იგივე პოზიციას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მას სანარმოებისგან მიღებული აქვს სათანადო თანხმობა.

ამისათვის აუცილებელია, რომ თავად თანხმობა წინასწარ იქნეს მიღებული იმ უფლებამოსილი ორგანოსგან, რომელიც დირექტორებს ნიშნავს, ხოლო ასეთი საქმიანობის განხორციელებაზე თანხმობა მიცემულად ჩაითვლება, თუ საზოგადოების ხელმძღვანელად დანიშნისას ცნობილი იყო, რომ საზოგადოების ხელმძღვანელი ეწევა ასეთ საქმიანობას და ამ საქმიანობის შეწყვეტა მისთვის არ მოუთხოვიათ.⁸⁴

2.7. კეთილსინდისიერების მოვალეობა

⁸⁴ საქართველოს კანონი „მენარმეთა შესახებ, თბ, 1994, მე-9 მუხლის 5 ნაწილი.

კეთილსინდისიერების მოვალეობა განსაზღვრავს დირექტორის შინაგან დამოკიდებულებას, რომელიც მოიცავს: მიზნის მიმართ გულწრფელობას, მოვალეობების მიმართ ერთგულებას, სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების პროცესში სამართლიანი დამოკიდებულების სტანდარტის დაცვას, კომპანიისგან სარგებლის გამოწერვის და პოზიციის ბოროტად გამოყენების განზრახვის არარსებობას.⁸⁵

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი, ხოლო 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად.

ამრიგად ქართული კანონმდებლობა კეთილსინდისიერების სტანდარტს იცნობს და მასზე აგებს სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებს. ანალოგიური კეთილსინდისიერების მოვალეობა უნდა მოქმედებდეს კომპანიის ხელმძღვანელ პირთა მიმართაც, ვინაიდან ივარაუდება, რომ დირექტორი კეთილსინდისიერად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას სანამ საწინააღმდეგო არ დამტიკდება. ივარაუდება, რომ დირექტორი მოქმედებს კეთილსინდისიერად, თუკი იგი ჭეშმარიტად გულწრფელად ფიქრობს, რომ კომპანიის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით მოქმედებს.⁸⁶

Hogg v. Cramphorn Ltd⁸⁷ საქმეზე მოსამართლემ ლორდ გრინის ციტირება მოახდინა და განმარტა, რომ დირექტორები არღვევენ მოვალეობას თუკი ისინი:

1. არ მოქმედებენ კეთილსინდისიერად, საწარმოს საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით;
2. მოქმედებენ არასათანადო მიზნების მისაღწევად, არა იმ მიზნის მისაღწევად, რისთვისაც მათ უფლებამოსილება მიენიჭათ. მაშინაც კი არღვევენ, როცა

⁸⁵ ლ. ცერცვაძე, დირექტორატის მოვალეობები კომპანიების მენეჯმენტისა და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას (შედარებით სამართლებრივი ანალიზი) თბ., გამომც. „ იურისტების სამყარო“, 2016, გვ.196.

⁸⁶ იქვე, გვ.196.

გულწრფელად სწამდეთ, რომ სანარმოს საუკეთესო ინტერესების შესაბამისად მოქმედებენ.⁸⁷

დამკვიდრებული წესის თანახმად, დირექტორებს ვალდებულება გააჩნიათ კომპანიის და არა მისი აქციონერებისა და კრედიტორთა წინაშე დირექტორი ხშირად დგას გადანყვეტილების წინაშე, გაანაწილოს მოგება დივიდენდის სახით თუ შეინარჩუნოს იგი კომპანიაში შემდგომი საქმიანობისათვის. ამ დროს გადანყვეტილების მიღება განსაკუთრებით რთულია, მაშინ როდესაც იგი ინფორმირებულია, რომ კეთილსინდისიერად მოქმედების ვალდებულება კომპანიის მიმართ აქვს.⁸⁸ ამ დროს დირექტორმა უნდა შეძლოს ოქროს შვალედის დაჭერა, რომელიც საკმაოდ რთულია.

ამრიგად დირექტორი, რომელიც კეთილსინდისიერად იღებს სამენარმეო გადანყვეტილებას, მოქმედებს ვალდებულებათა შესაბამისად, თუ იგი: დაინტერესებული არ არის სამენარმეო გადანყვეტილების საგნით, გონივრულად მიაჩნია, რომ, არსებული პირობებიდან გამომდინარე, სამენარმეო გადანყვეტილების საგანთან დაკავშირებით საკმარისად ინფორმირებულია და რაციონალურად სჯერა, რომ სამენარმეო გადანყვეტილება კორპორაციის ინტერესებს საუკეთესოდ ემსახურება.⁸⁹

⁸⁷ ლ. ცერცვაძე, დირექტორატის მოვალეობები კომპანიების შენარწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას (შედარებით სამართლებრივი ანალიზი) ქ. თბილისი, გამომც. „იურისტების სამყარო“, 2016, გვ. 192.

⁸⁸ იქვე, გვ. 192.

⁸⁹ იქვე, გვ. 192.

2.8. დირექტორთა ფილუციარული ვალდებულებები

დირექტორთა მრავალრიცხოვანი ვალდებულებების გადმოსაცემად, რაც მათ კომპანიის მიმართ გააჩნიათ, საქართველოში ხშირად იყენებენ ფორმულირებას: “ფილუციური მოვალეობანი” და მასში მოიაზრებენ ყველა ვალდებულებას რაც კი დირექტორათს შეიძლება ჰქონდეს.⁹⁰

ფილუციური მოვალეობა მოიცავს ერთგულების და მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ კეთილსინდისიერების მოვალეობას, მაგრამ არა ზრუნვის მოვალეობას.⁹¹

აღსანიშნავია, ის რომ დელავერის უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკამ კეთილსინდისიერების ვალდებულების „ბუნდოვანი ცნება“ ერთგულებისა და გულისხმიერების მოვალეობებს გაუთანაბრდა, თუმცა მისი განსაზღვრება ან დარღვევის შეფასების კრიტერიუმები გაურკვეველი დარჩა.⁹² დელავერის უმაღლესი სასამართლო კეთილსინდისიერების მოვალეობის არსებობას არ უარყოფს, მაგრამ მას ერთგულების მოვალეობის განმვრცობ ელემენტად მიიჩნევს. დელავერის სასამართლოს კანცლერ-მოსამართლეთა აზრით, ერთგულების ვალდებულების დაცვა თავისთავად კეთილსინდისიერ მოქმედებას გულისხმობს, თუმცა მისი ერთგულებისა და გულისხმიერების მოთხოვნებთან გათანაბრება მიზანშეუწონელია.⁹³

საკანცლერო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე კვლავ დაადასტურა, რომ კეთილსინდისიერება ერთგულების ფილუციარული მოვალეობის დამხმარე ელემენტია, მოსამართლეთა აზრით, ერთგულების ვალდებულების უპირატეს ხარისხზე ისიც მეტყველებს, რომ არაკეთილსინდისიერი დირექტორი კორპორაციის ინტერესების ერთგულად ვერ ჩაითვლება. საპირისპირო შემთხვევის წარმოდგენა კი შესაძლებელია: კეთილსინდისიერი დირექტორი ერთგულების მოვალეობას

⁹⁰ ლ. ცერცვაძე, დირექტორათის მოვალეობები კომპანიების შენარწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას (შედარებით სამართლებრივი ანალიზი) ქ. თბილისი, გამომც. „ იურისტების სამყარო”, 2016, გვ. 200.

⁹¹ იქვე, გვ. 202.

⁹² გ. ჯუღელი, კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, ქ. თბილისი, გამომც. „სისტა”, 2010, გვ. 182.

⁹³ იქვე, გვ. 182.

არღვევს, თუკი იგი ინტერესთა კონფლიქტში იმყოფება და შეცდომით, მაგრამ გულწრფელად, მიაჩნია, რომ გარიგების პირობები კორპორაციის მიმართ სამართლიანია.⁹⁴

აღსანიშნავია, რომ სასამართლომ ცნების დასაზუსტებლად ფილუციარის მოქმედების სამი ნაირსახეობა გამოყო. პირველი შემთხვევა დირექტორის განზრახ საზიანო მოქმედებას გულისხმობს. მისი მიზანია კორპორაციისათვის ზიანის მიყენება, რაც მმართველის ბოროტი ზრახვის შედეგია. სასამართლო ამგვარ ქმედებას „სუბიექტურ არაკეთილსინდისიერებად“ მოიხსენიებს.⁹⁵

მეორეს, სასამართლო არაკეთილსინდისიერებისა და უხეში გაუფრთხილებლობის ურთიერთმიმართებას განიხილავს. იგი მიიჩნევს, რომ შესაძლოა პრაქტიკაში უხეში გაუფრთხილებლობა ბოროტი განზრახვითაც იყოს გამოწვეული და დირექტორის არაკეთილსინდისიერებაზე არფერს ამბობს.⁹⁶

ხოლო მესამე ფილუციარის ნაირსახეობად მოიაზრებს კეთილსინდისიერების ვალდებულების დარღვევას კორპორაციისა და მისი აქციონერებისათვის ზიანის მიყენების პირდაპირ განზრახვასა და უხეშ გაუფრთხილებლობას შორის, რაც გულისმობს, რომ არაკეთილსინდისიერ ფილუციარს პირდაპირი ბოროტი განზრახვა არ ამოძრავებს.⁹⁷

ინგლისის სამართლის მიხედვით, როდესაც ინგლისელი იურისტი საუბრობს ფილუციურ ვალდებულებებზე, არ მოიაზრებს დირექტორთა ყველა იმ ვალდებულებას, რაც მათ გააჩნიათ კომპანიის მიმართ ვინაიდან ბრიტანულ იურიდიულ ლიტერატურაში კანონით განმტკიცებული ძირითადი ვალდებულებანი და ფილუციური ვალდებულებანი ერთმანეთისაგან განსხვავდება და შესაბამისად, შედეგებსაც განსხვავებულს იწვევს, აღნიშნული სამართლის მიხედვით “ფილუციარის” მიერ ნებისმიერი სახის ვალდებულების დარღვევა არ ნიშნავს ფილუციური ვალდებულების დარღვევას.⁹⁸

⁹⁴ გ. ჯუღელი, კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, თბ., გამომც. „სიესტა“, 2010, გვ.183.

⁹⁵ იქვე, გვ. 184.

⁹⁶ იქვე, გვ.184

⁹⁷ იქვე, გვ.185.

⁹⁸ ლ. ცერცვაძე, დირექტორატის მოვალეობები კომპანიების შეწარმნისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას (შედარებით სამართლებრივი ანალიზი) თბ., გამომც. „იურისტების სამყარო“, 2016, გვ.200.

ერთ-ერთი საქმის განხილვისას მოსამართლემ განმარტა რომ “ფიდეუციარი, ანუ მინდობილი პირი, არის პირი რომელმაც იკისრა ვალდებულება იმოქმედოს მესამე პირის სასარგებლოდ ან მისი სახელით იმგვარად, რომ მათ შორის წარმოიშვა ნდობითი ურთიერთობა. მინდობილი პირის განმასხვავებელ ვალდებულებას წარმოადგენს ერთგულების ვალდებულება. მან უნდა გამოიჩინოს მიზანმიმართული ერთგულება მიმნდობის მიმართ. ხოლო ამ ძირითად ვალდებულებას გააჩნია რამდენიმე ასპექტი: მინდობილი პირი უნდა მოქმედებდეს კეთილსინდისიერად, არ უნდა მიიღოს სარგებელი ნდობის გამო, არ უნდა ჩაიყენოს თავი ისეთ მდგომარეობაში, სადაც შესაძლოა მისი ვალდებულებისა და პირადი ინტერესების კონფლიქტი, არ უნდა იმოქმედოს საკუთარი ან მესამე პირის სასარგებლოდ, მიმნდობი პირისაგან სათანადო ინფორმირებულობის საფუძველზე გაცემული თანხმობის გარეშე.⁹⁹

ამრიგად ბრიტანული სამართლის მიხედვით ფიდეუციური მოვალეობა გულისმობს ერთგულების და კეთილსინდისიერების მოვალეობებს. ზემოაღწერილის გათვალისწინებით, ინგლისის კანონმდებლობის თანახმად, დირექტორს კომპანიის მიმართ გააჩნია ფიდეუციური ვალდებულებანი და ვალდებულება გამოიჩინოს გონივრული ზრუნვა, ფლობდეს საჭირო უნარებს.¹⁰⁰

⁹⁹ ლ. ცერცვაძე, დირექტორატის მოვალეობები კომპანიების შეწინააღმდეგებისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას (შედარებით სამართლებრივი ანალიზი) თბ., გამომც. „ იურისტების სამყარო“, 2016, გვ. 201.

¹⁰⁰ იქვე, გვ. 202.

2.9. Business judgement rule

ეს ინსტიტუტი XIX საუკუნის დასაწყისიდან წარმოიშვა, რომლის საფუძვლად 1829 წელს ლუიზიანას შტატის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებას მიიჩნევენ. მან დასაბამი მისცა საკორპორაციო სამართალში დამკვიდრებულ პრინციპს იმის შესახებ, რომ დირექტორს არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა იმ ზიანისათვის, რაც ისეთმა შეცდომამ გამოიწვია, რომელიც ნებისმიერ გულმოდგინე დირექტორსაც შეიძლებოდა მოსვლოდა. ამრიგად აღნიშნული ნორმა გამოიყენება მაშინ, როდესაც დირექტორის მიერ ბიზნეს გადაწყვეტილების მიღებას აქვს ადგილი. გადაწყვეტილება მოქმედებისაგან თავის შეკავების შესახებ, ასევე ხვდება მისი მოქმედების სფეროში, მაგრამ იგი არ მოქმედებს, თუკი დირექტორის მიერ საერთოდ არ არის გადაწყვეტილება მიღებული. პასუხისმგებლობა, ასევე დგება ისეთი უხეში შეცდომისათვის, რომელიც ჯანსაღი გონების მქონე და ჩვეულებრივ გულმოდგინე ადამიანს არ უნდა მოსვლოდა. პასუხისმგებლობის საფუძველია მხოლოდ ბრალეული მცდარი გადაწყვეტილება.¹⁰¹

ფილტვიური ვალდებულებების დარღვევის გამო ინიცირებულ სარჩელზე სასამართლოს მიერ მონმდება სამი ძირითადი ელემენტი: დირექტორის პირადი დაუინტერესებლობა/მიუკერძოებლობა, საკმარისი ინფორმაციის არსებობა და კეთილსინდისიერი ქმედება კორპორაციის საუკეთესო ინტერესებისათვის. Business judgement rule-ის თანახმად ივარაუდება, რომ დირექტორს გადაწყვეტილების მიღებისას არ გააჩნია ინტერესთა კონფლიქტი. ასევე ნორმა გამორიცხავს სასამართლოს მიერ დირექტორატის ისეთი გადაწყვეტილების განხილვას და შეფასებას, რომელიც თაღლითურად და კანონმდებლობის დარღვევით არის

¹⁰¹ლ. ცერცვაძე, დირექტორატის მოვალეობები კომპანიების შეწრწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას (შედარებით სამართლებრივი ანალიზი) თბ., გამომც. ,, იურისტების სამყარო”, 2016, გვ. 213.

მიღებული Business judgement rule ვერ დაიცავს დირექტორებს, თუკი მათი მხრიდან კომპანიის ქონების განთავსებას აქვს ადგილი, თავად სასამართლოს შეუძლია უარი თქვას აქტივის განთავსების საფუძვლით საქმის განხილვაზე, თუკი ნებისმიერ გონიერ ადამიანს შეუძლია დაასკვნას, რომ ასეთ გარიგებას კომპანიისათვის აზრი ჰქონდა და Business judgement rule არ გამოიყენება მაშინ, როდესაც სახეზეა დირექტორათის მხრიდან იმგვარი მოქმედება, რომ შეუძლებელია მისი განხილვა როგორც რაციონალური, ბიზნეს მიზნებისათვის მისაღწევად განხორციელებული ქმედებისა.¹⁰²

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე იმისათვის რომ დირექტორი მოხდეს აღნიშნული ნორმის დაცვის სფეროში მან, უნდა მიიღოს გააზრებული ინფორმირებული, ინტერესის კომპლიქტისგან თავისუფალი და რაციონალური გადაწყვეტილება და საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი იმ მხარეზე ვინც დირექტორის ქმედებას ეჭვებში აყენებს, ანუ მოსარჩელის. აგრეთვე, მოსარჩელემ უნდა დაადასტუროს, რომ დირექტორის მიერ დარღვეულია ერთ-ერთი მოვალეობა ცნობილი ტრიადიდან (ერთგულების, ზრუნვის და კეთილსინდისიერების მოვალეობა).

აღნიშნული პრინციპის გამოყენებაზე აშშ და გერმანიის სისტემებს შორის ძირითადი განმასხვავება არის ის, რომ აშშ-ში, როგორც წესი, არ მოწმდება ბიზნეს გადაწყვეტილების შინაარსი, გერმანიის სამართლის მიხედვით კი მოვალეობის დარღვევაზე ვერ იქნება მსჯელობა, როცა დირექტორათის წევრს სამენარმეო გადაწყვეტილების მიღებისას გონივრულად შეეძლო ევარაუდა, რომ იგი სათანადო ინფორმაციის საფუძველზე საზოგადოების საკეთილდღეოდ მოქმედებდა. გერმანული სასამართლოები უფრო აქტიურად ერევიან სამენარმეო გადაწყვეტილებაში, თუკი მისი შინაარსი საწარმოს ინტერესთან შეუსაბამოდ მიაჩნიათ.¹⁰³

ასევე, აშშ-ის საკორპორაციო-სამართლებრივ დოქტრინაში პრემიუმის უკუგდება მოსარჩელეს ევალება. განსხვავებულია გერმანული სამართლისა, რომლის თანახმადაც სამენარმეო გადაწყვეტილების მიღებისას საკმარისი ინფორმაციის

¹⁰² ლ. ცერცვაძე, დირექტორათის მოვალეობები კომპანიების შეწარმნისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას (შედარებით სამართლებრივი ანალიზი) ქ. თბილისი, გამომც. „იურისტების სამყარო“, 2016, გვ. 213-215.

¹⁰³ გ. ჯუღელი, კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, ქ. თბილისი, გამომც. „სიესტა“, 2010, გვ.258.

საფუძველზე და სანარმოს ინტერესთა სასარგებლოდ მოქმედება თავად ხელმძღვანელებმა უნდა დაამტკიცონ. უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიის სააქციო კანონით მტკიცების ტვირთი მაშინაც ღირეფტორებს ეკისრებათ, როცა სადავო საკითხი სამენარმეო გადანყვეტილებას არ უკავშირდება.¹⁰⁴

აღნიშნულთან დაკავშირებით ქართულ საკორპორაციო სამართალში დამკვიდრებული წესი გერმანულ ტრადიციას იზიარებს. „მენარმეთა შესახებ“ კანონის 56-ე მუხლის 4-ე ნაწილის მიხედვით, გულისხმიერების ვალდებულების დაცვა ხელმძღვანელებმა უნდა დაამტკიცონ.¹⁰⁵

კომპანიათა შესახებ აქტის შესაბამისად და დიდ ბრიტანეთში დამკვიდრებული პრაქტიკის გათვალისწინებით, სასამართლო მხოლოდ მაშინ ჩაერევა ბიზნეს გადანყვეტილების განხილვაში, თუკი გადანყვეტილების მიღების პროცესში ღირეფტორი მოქმედებდა გაუფრთხილებლად, ანუ თუკი მან გაუფრთხილებლობის გამო დაარღვია მასზე დაკისრებული მოვალეობანი, ინტერესთა კონფლიქტისათვის თავის არიდების ვალდებულება და მესამე პირთაგან სარგებლის მიღებაზე უარის თქმის ვალდებულება.

Business judgement rule -ის გერმანული განმრატება ანგლო-ამერიკული მოდელის გავლენით არის შექმნილი. შესაბამისად ზრუნვის ვალდებულება არ ითვლება დარღვეულად თუკი ღირეფტორის მიერ გადანყვეტილების მიღებისას დაცული იქნება შემდეგი მოთხოვნები: გადანყვეტილება არის ბიზნეს გადანყვეტილება გარდა კანონიდ დადგენილი გადანყვეტილებისა, სადაც მენჯმენტის არჩევანს წარმოადგენს მხოლოდ ის, შეასრულოს კანონის მოთხოვნა თუ არა. ღირეფტორატის თითოეული წევრის გადანყვეტილება თავისუფალი რაიმე სახის ინტერესისაგან. გადანყვეტილება კომპანიისათვის სასარგებლოა, ანუ გადანყვეტილება მიღებულია სათანადო ინფორმაციის საფუძველზე და ბოლოს გადანყვეტილების მიღებისას ღირეფტორები მოქმედებდნენ კეთილსინდისიერად.¹⁰⁶

¹⁰⁴გ. ჯუღელი, კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, ქ. თბილისი, გამომც. „სიესტა“, 2010, გვ.260.

¹⁰⁵ იქვე, გვ.260.

¹⁰⁶ იქვე, გვ. 219.

ქართული კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა არ იცნობს Business judgement rule –ის მსგავს დანაწესს, თუმცაღა მენარმეთა შესახებ გდანწყვეტილების მიღებისას გარკვეულ სტანდარტს ადგენს, რომლის თანახმად : დირექტორები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები საზოგადოების საქმიანობას უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად, კერძოდ ზრუნავდნენ ისე,როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი, და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის.¹⁰⁷

თუ ისინი არ შეასრულებენ ამ მოვალეობას, საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისათვის პასუხს აგებენ სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ

“მენარმეთა შესახებ” კანონის მე-9-ე მუხლის 5-ე ნაწილის პრიველი აბზაცის თანახმად “დირექტორებს არა აქვთ უფლება, პარტნიორების თანხმობის გარეშე განახორციელონ იგივე საქმიანობა, რომელსაც ეწევა საზოგადოება, ან მონაწილეობა მიიღონ, როგორც მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში პერსონალურად პასუხისმგებელმა პარტნიორმა ან დირექტორმა, თუ წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული (ინტერესთა კონფლიქტი). უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ნორმა ვერ გადმოსცემს ინტერესთა კონფლიქტის შემცველი გარიგების შინაარსს, შესაბამისად იგი აუცილებლად საჭიროებს კანონში ცვლილების შეტანის გზით გამოსწორებას.

ამ ინსტიტუტის კრიტიკას იწვევს ის, რომ არ არის დადგენილი სად გადის გონიერების ზღვარი, არ არსებობს კონკრეტული პრინციპები რომელიც უნდა დაიცვას დირექტორმა გდანწყვეტილების მიღებისას, რომ ამ წესის დაცვის ქვეშ აღმოჩნდეს. სასამართლომ ყოველი კონკრეტული შემთხვევა დამოუკიდებლად უნდა განიხილოს და შეათვასოს. ¹⁰⁸

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში განხორციელებულიცვლილების შედეგად დირექტორის როლი გაზრდილია, აუცილებელი ხდება, რომ იგი დასკულად

¹⁰⁷ “მენარმეთა შესახებ” საქართველოს კანონი,თბ., 1994,მე- 9-ე მუხლის 6 ნაწილი.

¹⁰⁸ ლ. ცერცვაძე, დირექტორატის მოვალეობები კომპანიების შეწარმნისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას (შედარებით სამართლებრივი ანალიზი) თბ., გამომც. ,, იურისტების სამყარო”, 2016,გვ. 221.

გრძნობდეს თავს, ჰქონდეს განცდა, რომ არ “დაისჯება” წარუმატებელი გადაწყვეტილების გამო, თუკი ეს გადაწყვეტილება კეთილსინდისიერად, ფაქტების შეფასებისა და სანარმოსათვის საუკეთესო გადაწყვეტილების რწმენის საფუძველზე იქნება მიღებული, ამიტომაც კარგი იქნება თუ საქართველოს სასამართლო მოსარჩელეს დააკისრებს Business judgement- ის გადალახვის ტვირთს.¹⁰⁹

თავი III. პრობლემის კვლევა/ანალიზი და შედეგები

იმისათვის, რომ დამედგინა რა მოვალეობა გააჩნია დირექტორს კომპანიის მართვის დროს ძირითად გამოვიყენე ორი სახის მეთოდი, ესენია შედარებითი და ლოგიკურ-თეორიული ანალიზის მეთოდები.

ლოგიკურ-თეორიული ანალიზის მეთოდის გამოყენებით განხილულია დირექტორის ვალდებულება(მოვალეობა)კორპორაციის მართვის დროს.განხილული იქნა ზოგადი საკითხები, როგორცაა ცნება, მიზანი და მნიშვნელობა, საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები, მათი გავლენა დირექტორის საქმიანობის შესრულებაზე, რიმლის მიხედვით დადგინდა, რომ მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონი არ იძლევა ზუსტ ამომწურავ განმარტებას „დირექტორის ვალდებულებას“ კომპანიის მართვის დროს, მენარმეთს შესახებ კანონი მხოლოდ იძლევა მოკლე პასუხს - „დირექტორი უნდა მართავდეს სანარმოს კეთილსინდისიერად ისე როგორც საკუთარს“. მენარმეთა შესახებ კანონი აძლევს კომპანიის მფლობელებს თავად განსაზღვრონ დირექტორის ვალდებულება წესდებაში ან შრომით ხელშეღრულებაში, რაც პრაქტიკაში ასე არ არის, ვინაიდან, როცა წესდებას საჯარო რეესტრში არეგისტრირებენ უმეტესობა იყენებს „ შაბლონს“, რომელიც საჯარო რეესტრის ოფიციალურ საიტზე დევს და მასში დამატებას არ ახდენენ, განსაკუთრებით დირექტორი ვალდებულების ნაწილში და საქართველოს „მენარმეთა შესახებ“ კანონში არსებულ

¹⁰⁹ იქვე,გვ. 221.

ხარვეზს არ ავსებენ, იგივეა დირექტორთან დადებულ შრომით ხელშეკრულებაში, სადაც ძირითადად სტანდარტული ფრაზა წერია, რომ „დირექტორის ვალდებულება და პასუხისმგებლობა განისაზღვროს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად” ან პუნქტებათ არის ჩამოყალიბებული მენარმეთა შესახებ კანონის ის ნორმები, რომელიც შეეხება დირექტორის ვალდებულებას.

შედარებითი მეთოდის მეშვეობით მოხდა სხვადასხვა სამართლის სისტემის ქვეყნებში არსებული საკანონმდებლო რეგულაციები და პრაქტიკის შედარება ერთმანეთში. მოგეხსენებათ სასამართლო პრაქტიკა დიდ ზეგავლენას ახდენს კანონმდებელზე, რადგან სწორედ მოსამართლე აწყდება იმ პრობლემას, რომელიც შესაძლოა კანონმდებლის მიერ ნორმის მიღებისას არ იყოს გათვალისწინებული იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ შეუძლებელია ყველა შესაძლო შემთხვევის წინასწარ განჭვრეტა და მათი დარეგულირება შესაბამისი ნორმების მეშვეობით.

უცხოური სასამართლო პრაქტიკის მეშვეობით დადგენილი იქნა ბევრი ისეთი პრინციპების განმარტება, რომელიც დიდ როლს თამაშობს დირექტორის ვალდებულების განხორციელებისთვის, როგორც ერთგულების და ზრუნვის მოვალეობის, თუმცა „მენარმეთა შესახებ” საქართველო კანონი ამომწურავ პასუხს არ იძლევა და ბევრ კითხვის ნიშნებს ტოვებს. ერთგულების მოთხოვნის ერთ-ერთი გამოხატულებაა კანონის მე-9 მუხლის მე-5 ნაწილის პირველი წინადადება, რომლის თანახმად, ხელმძღვანელებს ეკრძალებათ აქციონერთა თანხმობის გარეშე იმავე საქმიანობის განხორციელება, რომელსაც საწარმო ეწევა. თანხმობა ასევე აუცილებელია იმავე ტიპის საწარმოში ხელმძღვანელის ფუნქციების შესასრულებლად. აღნიშნული შემთხვევა თავისი შინაარსით კონკურენციის აკრძალვას ეხება, თუმცა ტექსტში იგი რატომღაც ინტერესთა კონფლიქტად არის მოხსენიებული. ხელ-მძღვანელთა ერთგულების ვალდებულების გამომხატველია მე-9 მუხლის მე-6 ნაწილის მოთხოვნაც: ხელმძღვანელს ეკრძალება, საკუთარი ინტერესების შესაბამისად გამოიყენოს საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც

მისთვის თანამდებობრივი მდგომარეობის გამო ან დაკისრებული მოვალეობების შესრულების დროს გახდა ცნობილი.¹¹⁰

ასევე, დადგინდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ერთგულების მოვალეობის ლეგალური დეფინიციას მენარმეთა შესახებ კანონი არ იცნობს, ქართული საკორპორაციო კანონმდებლობა, აშშ-ის და ინგლისს მსგავსად, აღიარებს კომპანიის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად მოქმედების ვალდებულებას (მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 9.6 მუხლის მიხედვით), იგივეს ადგენს ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონიც ანგარიშვალდებული სანარმოს ხელმძღვანელთა მიმართ.¹¹¹

აგრეთვე, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთი საქმის განხილვისას აღნიშნა, რომ საზოგადოების ყველა ორგანო და ყოველი წევრი ვალდებულია, ხელი შეუწყოს საზოგადოებას და მისი ინტერესების განხორციელებას. თავად დირექტორები ხმის მიცემისას უნდა გამოდიოდნენ საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე.¹¹²

ლოგიკურ-თეორიული ანალიზის მეთოდის გამოყენებით და შედარებითი მეთოდის საფუძველზე დადგინდა, რომ ზრუნვის მოვალეობა და მასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები, განვითარების გზას ადგას საქართველოში. ძირითადი პრინციპები და სტანდარტები დასახელებულ საკითხთან დაკავშირებით ჯერჯერობით დადგენილი არ არის სასამართლო პრაქტიკის მიერ. შესაბამისად, ზრუნვის მოვალეობასთან დაკავშირებით გერმანიის, ინგლისისა და დელავერის საკორპორაციო სამართლისა და მდიდარი სასამართლო პრაქტიკის გამოცდილება, შესაძლოა გახდეს მაგალითი და დამხმარე საშუალება ქართული საკორპორაციო სამართლისათვის.¹¹³

გარდა ამისა აღნიშნული მეთოდის საფუძველზე დადგინდა, რომ კეთილსინდისიერების მოვალეობის ლეგალური დეფინიცია შეუძლებელია, რომ არსებობდეს, ვინაიდან კეთილსინდისიერება დაკისრებული მოვალეობისადმი

¹¹⁰ გ. ჯუღელი, კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, თბ., გამომც. ჯგუფი „სიესტა“, 2010, გვ. 249.

¹¹¹ ლ. ცერცვაძე, დირექტორატის მოვალეობები კომპანიების შენარჩუნებისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას (შედარებით სამართლებრივი ანალიზი) თბ., გამომც. „იურისტების სამყარო“, 2016, გვ. 163.

¹¹² ლ. ცერცვაძე, დირექტორატის მოვალეობები კომპანიების შენარჩუნებისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას (შედარებით სამართლებრივი ანალიზი) თბ., გამომც. „იურისტების სამყარო“, 2016, გვ. 163

¹¹³ იქვე, გვ. 150.

დირექტორის შინაგან რწმენას გამოხატავს, ანუ მისი შინაგანი დამოკიდებულება მნივნილოვანია, როგორც ზრუნვის ასევე ერთულების მოვალეობის შესრულებისას, ვინაიდან მისი წყალობით შესაძლებელია დადგინდეს დარღვეულია თუ არა ზრუნვის ან/და ერთგულების მოვალეობა- „ერთის გარეშე მეორე ვერ იარსებებს”.

ამრიგად, კეთილსინდისიერების მოვალეობა არის ორი ძირითადი მოვალეობის ერთგულების და ზრუნვის მოვალეობის დამაზუსტებელი და გამაერთიანებელი საშუალება.

დასკვნა

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონი ამომწურავ პასუხს არ იძლევა „დირექტორის ვალდებულების შესახებ კორპორაციის მართვის დროს” და არც სასამართლო პრაქტიკა არ არსებობს საქართველოში აღნიშნული თემასთან დაკავშირებით, უკანასკნელი გასაკვირვი არც უნდა იყოს, ვინაიდან საქართველოს პრაქტიკიდან გამომდინარე მფლობელები მათი კომპანიის დირექტორად ნიშნავენ ნათესავებს და მათთან დაახლოებულ პირებს, რის საფუძველზეც შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ დირექტორი ასრულებს უშუალოდ მფლობელის დავალებს და ზრუნავს დირექტორის ინტერესზე და არა საწარმოს ინტერესზე და არ არის ცალკე დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც უნდა ზრუნავდეს კომპანიის ინტერესზე და მის განვითარებაზე.

დირექტორის პოზიციის დაკავებამდე პირს კარგად უნდა ესმოდეს რა უფლებები და ვალდებულებები გააჩნია მას,თუ ვის მიმართ არის ვალდებული და რას გულისხმობს კონკრეტულად ეს ვალდებულება, ამიტომაც აუცილებელია განისაზღვროს

დირექტორის მოვალეობა საკანონმდებლო დონეზე და ყველაფერი ერთ მუხლში იყოს ამომწურავად განმარტებული.

კანონის დონეზე ვალდებულების განსაზღვრა იმითაც არის მნიშვნელოვანი რომ, როცა დირექტორმა იცის ვალდებულებების შესახებ იცის, ასევე რა შედეგი დადგება ვალდებულებების შეუსრულებლობის დროს და რა პასუხისმგებლობაც დაეკისრება, რაც მის საქმიანობას უფრო ეფექტურს გახდის.

აღნიშნულის არსებობა აუცილებელია იქიდან გამომდინარე, რომ 2008 წელს მომხდარი ცვლილებების შემდეგ, კანონმდებელმა გაზარდა დირექტორების მოვალეობები, მაგრამ კონტროლი მისი გააქმუა, რაც საფრთხეს წარმოადგენს საქართველოში მოქმედი კომპანიებისათვის. ვინაიდან , როგორც ზემოთ აღვნიშნე მენილეები/აქციონერები დირექტორებს ირჩევენ არა მათი ცოდნისა და გამოცდილების მიხედვით, არამედ მეგობრული ან ნათესაური ნიშნით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მენარმეთა შესახებ კანონი ნათელ განმარტებებს იძლეოდეს დირექტორის ვალდებულებების შესახებ. ნაშრომში აღვნიშნე, რომ დირექტორს ერთ-ერთი ვალდებულება კომპანიის წინაშე არის ერთგულების ვალდებულება, რომელზეც საქართველოს კანონმდებლობა **ნათელ განმარტებას არ იძლევა, თუ რა მოიაზრება ერთგულების ვალდებულებაში.**

ამიტომაც კარგი იქნება, თუ ერთგულების ვალდებულებას და მასში შემავალ ვალდებულებებს განმარტავს და ცალკე თავად ჩამოაყალიბებს „მენარმეთა შესახებ” საქართველოს კანონი. აღნიშნულ კანონში უნდა განისაზღვროს, რომ დირექტორის მხრიდან ვალდებულების დარღვევას არ აქვს ადგილი და მისი პასუხისმგებლობა არ უნდა დადგეს, თუკი საკუთარ თავთან დადებულ გარიგებას კომპანიისათვის მხოლოდ სარგებელი მოაქვს. ასევე აუცილებლად მიმაჩნია, რომ “მენარმეთა შესახებ” კანონში ჩამოყალიბებული უნდა იყოს ზრუნვის მოვალეობასთან დაკავშირებული ძირითადი ვალდებულებანი, რაც კომპანიის ხელმძღვანელ პირს წაეყენება. კერძოდ, რომ ზრუნვის მოვალეობა ავალდებულებს დირექტორს, ფლობდეს ცოდნასა და უნარებს, რასაც გონივრულად ელოდებიან ასეთ პოზიციაზე მყოფი პირისგან.

მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ კომპანიის გამართული და ეფექტური ფუნქციონირება უზრუნველყოფს სახელმწიფოს ეკონომიკურ განვითარებას, ამიტომაც საჭიროა კანონმდებლმა განსზღვროს დირექტორის ვალდებულება და არსებული ნორმების მკაფიო განმარტება განახორციელოს, ვინაიდან მასზე, როგორც კომპანიის ხელმძღვანელზე არის დამოკიდებული კომპანიის ბედი.

გამოყენებული ლიტერატურა:

მონოგრაფია

1. ცერცვაძე ლ., დირექტორატის მოვალეობები კომპანიების შეწინააღმდეგებას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას (შედარებით სამართლებრივი ანალიზი) ქ. თბილისი, გამომც. „იურისტების სამყარო“, 2016;
2. ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, ქ.თბილისი, გამომ. „სამართალი“, 2006.
3. ჯუღელი გ., კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, ქ. თბილისი, გამომც. „სიესტა“, 2010;

ნორმატიული აქტები

4. საქართველოს კანონი მენარმეთა შესახებ თბ., 1994;
5. საქართველოს კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ, თბ., 1998;

ვებ.გვერდი

6. ლ.კოკაია კორპორაციული მართვის თანამედროვე სისტემები. თბ. ჯურნ.სახ. Business media georgia , 27.12.17წ. <https://www.bm.ge/>, წვდ. თარიღი: 16.06.2019წ.
7. [https://blh.com.ge/%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91/](https://blh.com.ge/%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91/%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91/) უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 05.04.2019წ.